# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№32 (25.056) სამშაბათი, 28 - 29 მარტი, 2023 წ. 50 თეთრი


## ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 17-22, მაღალ მთაში - 10-15 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 755 მილიმეტრი. მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მაღალ მთაში - თოვა.

# ბათუმი ევროპის ჩემპიონატის თასს ზეიმით შეეგება და საქართველოში სამოგზაურო გაასცილა

მანანა კიკიშვილი 598 24 94 97

*ბათუმი ეს დღეები დიდი ფეხბურთით ცხოვრობს - საქართველოს ეროვნული ნაკრები აქ იმყოფება, რომელიც 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი ტურის ოფიციალურ შეხვედრას დღეს ნორვეგიის ნაკრებთან მართავს*

მეორე დიდი მოვლენა, რაც საქართველოში ხდება, არის ის, რომ საქართველო, რუმინეთთან ერთად, წელს ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატს უმასპინძლებს ფეხბურთში და ეს დიდი ღონისძიება ჩვენთან ზაფხულში გაიმართება. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა ჩვენი ქვეყნისთვის უპრეცედენტო მოვლენაა. ჩემპიონატი 21 ივნისს დაიწყება საქართველო-პორტუგალიის მატჩით თბილისში და 8 ივლისს ფინალური მატჩით ბათუმში დასრულდება. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას, საქართველოს დედაქალაქთან ერთად, ბათუმი და ქუთაისი უმასპინძლებს. ფინალის გარდა, ჩვენს ქალაქში კიდევ რამდენიმე მატჩი და ერთი ნახევარფინალი გაიმართება.

ბათუმიდან თასი ქუთაისში გაემართა, თუმცა მანამდე, მესტიაში შეივლის, სვანეთში, შემდეგი გაჩერება ამბროლაურსა და ყაზბეგში ექნება და ბოლოს, ბინას დროებით, თბილისში დაიდებს, სადაც ასევე ითამაშებს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები თავის მნიშვნელოვან მატჩებს ძლიერ გუნდებთან.

როგორც აღვნიშნეთ, თასს, რომელმაც მანამდე ბათუმის ქუჩები მოიარა, ჩვენი ქალაქი ევროპის მოედანზე შეკრებილ ასობით გულშემატკივართან ერთად, საზეიმო ვითარებაში დახვდა და როგორც ერთ-ერთმა მასპინძელმა ქალაქმა, საზეიმო კონცერტით აღნიშნა ეს ღირშესანიშნავი ისტორიული დღე.

**ვეტერანმა ფეხბურთელმა, ტურნირის ელჩმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა** და **საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ტურნირის დირექტორმა დავით მუჯირმა** თასი ნორჩი ფეხბურთელების მიერ გაკეთებულ ცოცხალ დერეფანში გაატარეს და სცენაზე აიტანეს. მათ სიტყვით მიმართეს შეკრებილებს, მიულოცეს ღირსსახსოვარი დღე, აღნიშნეს ამ ტურნირის მნიშვნელობა ქვეყნისთვის.

შეკრებილთ მიესალმა **ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი:**

- გილოცავთ დღევანდელ დღეს, რომელიც უპრეცედენტოა ჩვენი ერისა და ქვეყნის სპორტულ ისტორიაში, რადგან ჩვენი ქვეყანა უდიდეს საფეხბურთო ზეიმს პირველად მასპინძლობს. მნიშვნელოვანია, რაც დღეს ჩვენს ქალაქში ხდება. ფინალი გაიმართება ბათუმში და ეს გაძლევს შესაძლებლობას, ჩვენი ულამაზესი ქალაქი, რეგიონი, გავაცნოთ მთელ მსოფლიოს. მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, აჭარის მთავრობას, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ძალიან დიდი შრომა ჩადო იმაში, რომ ჩვენს ქალაქშიც ჩატარებულიყო ეს ტურნირი. ბათუმი ამისთვის მზად არის. ჩვენს 21-წლამდელებს კი, რომლებიც პირველად მონაწილეობენ ევროპის ჩემპიონატში, მინდა ვუსურვო ძალიან დიდი წარმატება.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი, ტურნირის დირექტორი დავით მუჯირი:**

იხ. 23-ე გვ.

## კრიალოსა N იუსი

ბოლო 10 წლის განმავლობაში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებზე სახელმწიფომ დახარჯა 6 მლრდ 800 მლნ ლარი. ამას ემატება 1 მლრდ ლარზე მეტი კოვიდპანდემიის დროს ყველა პაციენტის მკურნალობის ანაზღაურება და რა თქმა უნდა, ეს იყო ძალიან დიდი დახმარება კერძო კლინიკებისთვის, მაშინ როცა 2012 წელს მთლიანად ჯანდაცვის მიმართულებაზე იხარჯებოდა 450 მლნ ლარი, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე განაცხადა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ბოლო 10 წელიწადში, გარდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებისა, რეფერალური მომსახურებით ისარგებლეს მოქალაქეებმა, რისთვისაც 390 მლნ ლარი გამოიყო.

* * *

31 მარტს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით, პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოვა. როგორც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა, იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე კვირა არასასესიოა, პრეზიდენტს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თხოვნით მიმართავს.

* * *

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელ დიმიტრიოს კარაბალისთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა, მისიის ხელმძღვანელის პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა და ქართული მხრიდან მჭიდრო თანამშრომლობის მზადყოფნა გამოხატა. „შეხვედრაზე ხაზი გაესვა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, როგორც ადგილზე ერთადერთი საერთაშორისო წარმომადგენლობისა და ობიექტური ინფორმაციის წყაროს მნიშვნელობას“, - აღნიშნულია პარლამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

ყველა ობიექტური შეფასებით, ქვეყანა, შესაძლოა, ისევ კანდიდატის სტატუსის გარეშე დარჩეს, - განაცხადა „ლელოს“ დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა. „ოპოზიციას საერთოდ არაფერი შეუძლია, არც კანდიდატის სტატუსისთვის ხელის შეშლა და არც შეწყობა - ყველა პოლიტიკურ შედეგზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება“, - აღნიშნა მან ოპოზიციის მხრიდან კანდიდატის სტატუსის მინიჭებისთვის შესაძლო ხელის შეშლაზე საუბრისას.

მოამზადა
ია შველიძემ


## კამელიების გამოფენა - ბოტანიკურ ბაღში 2

## «ნაღვარევში პრობლემები მოგვარდება» 4

## ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება გადარჩენისა და განვითარების გარანტია 3

## ქართული ცეკვის ილეთით დამყარებული გინესის რეკორდი და... ზღაპარი ლამაზი დასასრულით 7


ISSN 2720-8702

9 772720 870003

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# ბათუმში წიგნისა და უმაღლესი განათლების პირველი საერთაშორისო გამოფენა დასრულდა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

***ბათუმის წიგნისა და უმაღლესი განათლების პირველი საერთაშორისო გამოფენა - „Batumi Book & Higher Education 2023“ დასრულდა. დახურვის ცერემონიას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბაღრი ნაკაშიძე ესწრებოდა***

მან ორგანიზატორებს მიულოცა გამოფენის წარმატებით ჩატარება, მადლობა გადაუხადა მონაწილეებს და აღნიშნა, რომ „მსგავსი გამოფენები ხელს უწყობს უფროსკლასელთა სწორ, დროულ და ამომწურავ ინფორმირებას მომავალი პროფესიის შერჩევისას. რაც ჩვენი ახალგაზრდა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლების რეალიზებაცაა - იცოდნენ თავისი უფლებების შესახებ და გააკეთონ სწორი არჩევანი“.



სპორტის სასახლეში მისულ სტუმრებს სამი დღის განმავლობაში შეეძლოთ მათთვის სასურველი წიგნების ფასდაკლებით შეძენა და უმაღლესი სასწავლებლების ახალი პროგრამების გაცნობა.

გამოფენის მიზანი წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა იყო. გამოფენის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები და სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი პროგრამები.

ამ საერთაშორისო გამოფენაში 40-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია მონაწილეობდა. უმაღლესი სასწავლებლები, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები და ფონდები, წიგნის საგამომცემლობები, სტამბები, წიგნის მაღაზიები, ჟურნალ-გაზეთები, ქართული კულტურის და უცხო ენის ცენტრები.

გამოფენის მხარდამჭერები იყვნენ: აჭარის მთავრობა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თურქეთის განათლების სამინისტრო, ბათუმის მერია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს ინვესტორთა საერთაშორისო ასოციაცია (II), თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, საქართველოს ბიზნესასოციაცია, ბათუმის ავტოტრანსპორტი და სხვადასხვა მედიასაშუალება.

გამოფენის დახურვის ცერემონიაში მონაწილე კომპანიებს ტრადიციულად სერტიფიკატები გადაეცათ, სიმბოლურად ტორტიც გაიჭრა. გამოფენა საერთაშორისო საგამოფენო კომპანია „ჯეონეტ ექსპოს“ ორგანიზებით ჩატარდა.

# კამელიების გამოფენა – ბოტანიკურ ბაღში

ხატია იაშვილი 555 18 48 88

კამელიების ტრადიციულმა გამოფენამ კვლავ გააკვირვა უამრავი ვიზიტიორი. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მისულ სტუმრებს იაპონური ჯიშის და ბაღში გამოყვანილი ჰიბრიდული ფორმის ულამაზესი კამელიები დახვდათ. გამოფენა რეგიონში უკვე მეექვსედ ჩატარდა და იგი ხელს უწყობს ბაღის კოლექციაში არსებული გვარ „კამელიის“ ჯიშებისა და ფორმების პოპულარიზაციას მოსახლეობაში, მათი დასახლებული პუნქტების გამწვანებაში გამოყენების მიზნით.

„ჩვენი ვიზიტიორები, განსაკუთრებით ფლორის, კამელიების მოყვარულები, მოუთმენლად ელოდნენ ამ გამოფენას. აქვე ვიტყვი, რომ მალე ჩატარდება ბამბუკების გამოფენაც, იცით, რომ პანდემიის გამო, შეფერხებული იყო ყველა ღონისძიება. ბოლო გამოფენა 2019 წელს ჩავატარეთ. დღეს კამელიების 121 სახეობაა წარმოდგენილი, მათ შორის, 25 ადგილზე ჩვენი მეცნიერების მიერ სელექციური წესით გამოყვანილი ჯიშებია. 2016 წლიდან ვართ კამელიების საერთაშორისო ასოციაციის წევრი, თუმცა საზღვარგარეთ კამელიები არცერთ გამოფენაზე არ გაგვიტანია, რადგან ტრანსპორტირება ჭირს, მხოლოდ ორ-სამ დღეს ძლებს ჩვენი ულამაზესი კამელიები,“ - გვითხრა ბათუმის ბოტანიკური ბაღის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ჯემალ წულუკიძემ.

კამელიები დედამიწაზე ერთ-ერთი უძველესი მცენარეებია. ცნობები მის შესახებ აღმოსავლეთის ხალხთა უძველეს ხელნაწერებში არის შემონახული. ბოტანიკურ ლიტერატურაში გვარი „კამელია“ 1753 წელს, კარლ ლინეს მიერაა აღწერილი. მცენარემ დასახელება იეზუიტი ბერის ჯოზეფ კამელის პატივსაცემად მიიღო. კამელიების გვარი აერთიანებს 260-მდე სახეობას და 20 000-ზე მეტ კულტურულ ჯიშს, რომელთაგან 80 პროცენტი ჩინეთშია გავრცელებული. კამელიის უძველესი კოლექცია ბათუმის ბოტანიკური ბაღის ქვედა და ზედა პარკების ტერიტორიაზე, ბაღის დაარსებამდე, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდანაა ინტროდუცირებული მოყვარული კოლექციონერი მოაგარაკეების მიერ. დღეისათვის, ბაღში დაცულია ამ გვარის წარმომადგენლების 5 სახეობა: იაპონური, მთის, ანუ ევგენოლის, ბადისებრი, ზეთოვანი და ჩინეთის კამელია. ასევე, იაპონური კამელიის 78 ჯიში, მთის ანუ ევგენოლის 18 ჯიში და ბაღში გამოყვანილი 25 ჰიბრიდული ფორმა.

კამელია დეკორატიულ მცენარეებში ერთ-ერთი გამორჩეული კულტურაა, თავისი ულამაზესი, დახვეწილი ყვავილებით, მარადმწვანე ფოთლებით და კომპაქტური ვარჯით. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში კამელია სამი სეზონის განმავლობაში ყვავილობს (შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული), აქ ერთმანეთს ენაცვლებიან სხვადასხვა ფორმისა და ფერის ჯიშები. ზოგიერთი სახეობა გამოიყენება მედიცინაში, პარფიუმერიაში, კოსმეტიკაში, კულინარიასა და დეკორატიულ მებაღეობაში.

# სასკოლო ბიბლიოთეკების პოპულარიზაციისთვის

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

***სასკოლო ბიბლიოთეკების და წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სკოლის ბიბლიოთეკების პროექტების დასაფინანსებლად კონკურსს აცხადებს***

„სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების“ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებს.

საკონკურსო განაცხადი უნდა წარმოადგინოს სკოლის დირექციამ. საკონკურსო განაცხადის ავტორი/თანაავტორი უნდა იყოს სკოლის ბიბლიოთეკარი/პასუხისმგებელი პირი.

ერთი პროექტის დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 2500 ლარს.

საჯარო სკოლებს ინიციატივების წარმოდგენა შეუძლიათ შესაბამისი მუნიციპალიტეტების რესურსცენტრებში 2023 წლის 24 მარტიდან 20 აპრილის ჩათვლით.

## შაბათ-კვირის ქრონიკა

ბათუმში მცხოვრებმა უკრაინელებმა ბათუმის ცენტრალურ პარკთან საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი აპროტესტებდნენ 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებში რუსეთის სპორტსმენთა მონაწილეობას ნეიტრალური დროშებითაც კი. „იმ დროს, როცა უკრაინაში ნადგურდება სპორტული ინფრასტრუქტურა და იღუპებიან სპორტსმენები, აგრესორი სახელმწიფოს წარმომადგენლები ვერ იქნებიან მშვიდობის დესპანები“, - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

* * *

გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი სამ მშენებლობაზე, ღირებულებით 37 944 034 ლარი. ესენია: 1. ბათუმის N14 საჯარო სკოლის დამატებითი შენობის მშენებლობა, ღია სპორტული მოედნის მოწყობა და ტერიტორიის სრული კეთილმოწყობა. ახალ შენობაში განთავსდება 18 საკლასო ოთახი, ასევე, სააქტო დარბაზი 220 მაყურებელზე, სარეპეტიციო დარბაზები და სხვა სივრცეები, რომელშიც იფუნქციონირებს ანსამბლი „ხორუმი“. რეაბილიტაცია ჩაუტარდება სივრცეს, სადაც ამჟამად ფუნქციონირებს ანსამბლი „ხორუმი“, მასში მოეწყობა სასადილო, ბიბლიოთეკა და საკლასო ოთახები. ღირებულება 12 770 793 ლარია. 2. ბათუმის №18 საჯარო სკოლის დამატებითი შენობის მშენებლობა, ღია მრავალფუნქციური სპორტული სივრცის მოწყობა. ახალ შენობაში განთავსდება 28 საკლასო ოთახი, ასევე, სააქტო დარბაზი 170 მაყურებელზე. ღირებულება 6 240 272 ლარია. 3. ბათუმის განათლების და მეცნიერების ქალაქში სახელოვნებო სკოლის მშენებლობა. ახალ შენობაში განთავსდება 5 სახელოვნებო სკოლა. აშენდება 2 შენობა, რომელიც მოემსახურება 2 500-ზე მეტ მოსწავლეს. მასში განთავსდება: საკონცერტო დარბაზი 300 ადამიანზე, სასწავლო ოთახები, საამქროები, გალერეა, საკონფერენციო დარბაზი, ღია ამფითეატრი წარმოდგენებისთვის. ღირებულება 18 932 969 ლარია. სამუშაოები ხელშეკრულების დადებისთანავე დაიწყება და 30 თვეში დასრულდება.

* * *

ხელვაჩაურის მერია სოფლებში წყლის რეზერვუარების, ჭაბურღილების და სანიტარიული ზონების მოწყობას იწყებს. მერიაში განმარტავენ, რომ მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება. პრობლემის მოგვარების მიზნით თვითმმართველობამ ლიცენზიის მისაღებად სემეკთან მოლაპარაკება დაიწყო და ნებართვის მიღების შემდეგ ახალ ჭაბურღილებზე სასმელი წყლის მოპოვება დაიწყება. ინფრასტრუქტურული სამუშაოების პარალელურად, მიმდინარე წლიდან აბონენტების გამრიცხველიანება იწყება. მრიცხველებს თვითმმართველობა დაამონტაჟებს. ამ დროისთვის უცნობია, რა ოდენობის თანხის გადახდა მოუწევთ აბონენტებს. ცნობისთვის, ხელვაჩაურის ბიუჯეტიდან წყლის ჭაბურღილებზე დამხმარე ნაგებობების მოსაწყობად და ავტომობილის რემონტის ხარჯებისათვის 26 000 ლარი დაიხარჯება.

* * *

„ლტოვილ ქალთა ზრუნვა, ლტოლვილ ქალთა ხმა“ - პროექტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „საორსა“ აჭარის რეგიონში იძულებით გადაადგილებულ უკრაინელ და ბელარუს მოქალაქეებთან საინფორმაციო შეხვედრებს განაგრძობს. დაგეგმილია უკრაინაში ომის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის ფსიქოსოციალური მხარდაჭერა და კარიერული გაძლიერება.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

# ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება გადარჩენისა და განვითარების გარანტია

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ჰაგის საერთაშორისო სასამართლომ უპრეცედენტო, ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო - პუტინის დაპატიმრების ორდერი გასცა. უახლეს ისტორიაში პირველად მოხდა გავლენიანი ლიდერის ამგვარი სამართლებრივი შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი რომის სტატუტის ხელმომწერი ქვეყანა არ არის და კრემლის მმართველები ირონიულად აფასებენ ჰაგის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას, საბოლოო ჯამში ეს რუსეთს მაინც სავალალო შედეგს მოუტანს, რადგან პუტინთან შეხვედრას, დიალოგს არავინ მოისურვებს, რაც პრაქტიკულად რუსეთის პრეზიდენტის იზოლაციას ნიშნავს საერთაშორისო პოლიტიკაში. ამავე დროს, შესაძლოა ჰაგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ თავად რუსეთში გამოიწვიოს რყევები, ყოველ შემთხვევაში ამას ვარაუდობენ ანალიტიკოსები. ისიც უდავოა, დასავლეთს 2008 წელს მეტი სიხისტე რომ გამოეჩინა რუსეთთან მიმართებაში, სავარაუდოდ, უკრაინაში ომი არ მოხდებოდა. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე თავის თვალსაზრისს პოლიტოლოგი **გელა ირემაძე** გვიზიარებს.*

**- ჰაგის სასამართლომ პუტინის დაკავების ორდერი გასცა, ეს რისი მანიშნებელია?**

- რა თქმა უნდა, ჰაგის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია ისტორიული სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით. როგორც მოგეხსენებათ, მსგავსი გადაწყვეტილებები არ მიიღება, თუ მტკიცე საფუძველი არ არსებობს, ანუ ზოგადად, საერთაშორისო არენაზე უნდა მომწიფებულიყო ეს საკითხი, ყველაზე საინტერესო ამ მხრივ ის არის, რომ პუტინს არა მხოლოდ უკრაინის ტერიტორიის ოკუპაციაში მიუძღვის ბრალი, არამედ მისი ბრალეულობა დაკავშირებულია ბავშვთა გენოციდსა და ზოგადად ბავშვებთან. მოკლედ, პუტინთან არანაირი „გადატვირთვა“ აღარ იქნება.

**- კრემლში ამბობენ, რომ არ ცნობენ ჰაგის სასამართლოს გადაწყვეტილებას...**

- ისინი კი აცხადებენ, რომ არ აღიარებენ ჰაგის ამ გადაწყვეტილებას და მის აღსრულებას ირონიით უყურებენ, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ეს გადაწყვეტილება პუტინისთვის სავალალო იქნება მრავალი ფაქტორის გამო. მას უკვე აკრძალული აქვს იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობა, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ რომის სტატუსის ხელშეკრულება, ანუ თუ ის ჩავა ამ სახელმწიფოებში, წესით და რიგით, უნდა დააპატიმრონ.

**- ჰაგის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, ექცევა თუ არა პუტინი იზოლაციაში და რამდენად კეთროვანი აღმოჩნდება იგი პოლიტიკურად მსოფლიო ლიდერებისთვის?**

- რასაკვირველია, ამ გადაწყვეტილებით რუსეთის პრეზიდენტიც სრულიად იზოლირებულია და მისი მთავრობაც, პოლიტიკური ელიტაც, გარკვეულწილად, ასევე სამხედრო დანაშაულის ჩამდენი გენერალიტეტი. მათ მიმართ განხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი სანქცია, შეეზღუდებათ ფინანსები, საკუთარი ქვეყნის გარდა სხვაგან გადაადგილებას ვერ შეძლებენ, რაც ყველაზე მთავარია: ჰაგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ აჩვენა, რომ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით საერთაშორისო თანამეგობრობა შეუწყნარებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობას იმედი უნდა ჰქონდეს ავტორიტეტული სტრუქტურებისა, რომლებიც ფუნდამენტურ ღირებულებებს იცავენ, ანუ არ აქვს მნიშვნელობა, რა ლეგიტიმაციით და ავტორიტეტით სარგებლობს ესა თუ ის პიროვნება, მის მიმართ მაინც შეუწყნარებელი იქნება თუ დანაშაულებს ჩაიდენს.

**- როგორც ვიცით, რუსეთი არ არის მიერთებული რომის სტატუტს, ანუ მასზე არ ვრცელდება ჰაგის სასამართლოს გადაწყვეტილება, აქედან გამომდინარე, როგორ განხორციელდება ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება?**

- შორს ვარ იმ აზრისგან, რომ უსწრაფესად შესრულდება ჰაგის სასამართლოს გადაწყვეტილება. მართალია, რუსეთი არ არის რომის სტატუტის ხელმომწერი ქვეყანა, მაგრამ გავიხსენებ წლების წინ პუტინის გამოსვლას ჰაგის სასამართლოში და მის განცხადებას, რომელიც ამ ინსტიტუტს ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებდა. ის, ცხადია, ფარისევლობდა. უდავოა, რომ პუტინი იზოლაციაში მოექცევა. მას საერთაშორისო არენაზე გადაადგილებასთან დაკავშირებით ექნება სერიოზული პრობლემები. გავიხსენოთ იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი, ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი, აფრიკის ერთ-ერთი პრეზიდენტიც, რომლებზეც ჰაგის სასამართლომ დაპატიმრების ორდერი გასცა და მათ მოკლე პერიოდში ცუდად დაამთავრეს თავიანთი პოლიტიკური საქმიანობა.

**- რამდენად მოსალოდნელია, რომ დროთა განმავლობაში რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურმა ელიტამ პუტინი მოიშოროს და ასეთ შემთხვევაში რუსეთის ახალი ლიდერი რამდენად დაემორჩილება საერთაშორისო სამართლის ნორმებს?**

- ამის მზაობა რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში უკვე დაიწყო. თვით ხელისუფლების შიგნით პუტინის ნდობის ხარისხი მინიმუმამდეა დაყვანილი. აქ არის რამდენიმე პიროვნება, რომლებიც ცდილობენ ძალაუფლების ხელში აღებას, მაგალითად, პატრუშევი, პრიგოჟინი, შოიგუ, ასევე ლავროვის ჯგუფი. ამ მხრივ, მართლაც, მთავარი კითხვაა: რამდენად დემოკრატიული იქნება რუსეთის ახალი ლიდერი? სამწუხაროდ, რუსეთის ახალი ლიდერი არ იქნება დემოკრატიული სულისკვეთების მქონე პიროვნება მრავალი მიზეზის გამო. ამ ქვეყანაში იმპერიული ბაცილა ფართოდაა გავრცელებული. ვერ წარმოუდგენიათ სახელმწიფო იმპერიის გარეშე. ფაქტობრივად, პუტინმა ამოწურა თავისი რესურსი საერთაშორისო პოლიტიკაში. იგი ავტოკრატიული მმართველია.

**- სავარაუდოდ, დასავლელი ლიდერები არ მოისურვებენ პუტინთან შეხვედრას, თუმცა ახლახან ჩინეთის ლიდერი პუტინს შეხვდა, როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?**

- ჩინეთი ცდილობს თავისი დამოკიდებულება ჰქონდეს რუსეთთან. მისთვის მისაღებია ის ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც არის რუსეთში, თუმცა პირდაპირ არ უჭერს მხარს. მოცემულ რეალობაში სარგებლის მიმღები ჩინეთია, რომელიც რუსეთისგან ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რესურსს, განსაკუთრებით ნავთობს, ძალიან იაფად იძენს. მისთვის დასუსტებული რუსეთი და დასავლეთი ხელსაყრელია. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩინეთი მნიშვნელოვანი აქტორია და მას სერიოზული გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჩინეთი გაეროს მუდმივმოქმედი წევრი სახელმწიფოა. დასავლეთი არ არის დაინტერესებული რუსეთის დაშლით, რადგან დანაწევრებული რუსეთი პრობლემებს შეუქმნის მსოფლიოს. სხვათა შორის, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთს გააჩნია ბიოლოგიური, ქიმიური და ატომური იარაღი, ანუ ის საკმაოდ ანგარიშგასაწევი სუბიექტია.

**- რამდენად რეალურია ბირთვული იარაღის საფრთხე?**

- საერთოდ, რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი, თუმცა არა მგონია, მსოფლიო ბირთვული საფრთხის წინაშე დააყენოს, რადგან თუ იგი უკრაინის მიმართ მართლაც გამოიყენებს ბირთვულ იარაღს, ამას მსოფლიო ურეაქციოდ არ დატოვებს. კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ-მა და ჩინეთმა რუსეთისგან მიიღეს გარანტია ბირთვული იარაღის არგამოყენების შესახებ, თუმცა, როგორც გითხარით, კრემლის მმართველებისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

**- საქართველოსთვის და მოლდოვისთვის რამდენად მნიშვნელოვანია პუტინის მიმართ წაყენებული ბრალდებები ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის თვალსაზრისით?**

- რუსეთის მიზანია, საქართველო რუსეთის ორბიტის ნაწილი იყოს და ამ მხრივ სხვადასხვა დესტრუქციულ ქმედებას მიმართავს. პუტინი ფარისევლურად საუბრობს ქართველი ხალხის მიმართ კეთილგანწყობაზე, საამისოდ იმოწმებს რელიგიურ ფაქტორს და ა. შ. მაგრამ ეს არის რბილი ძალის თეორია, რომელსაც რუსეთი თანმიმდევრულად ახორციელებს. ვფიქრობ, საქართველო რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იყოს ეკონომიკურად დაკავშირებული რუსეთის ბაზართან, ანუ მეტი ურთიერთობები, საერთო ღირებულებები, ფასეულობები უნდა გვაკავშირებდეს ევროპის და აზიის განვითარებულ ქვეყნებთან.

**- როგორც ცნობილია, 2008 წელს ცხინვალის რეგიონში ქართველების ეთნოწმენდა მოხდა, რამდენად მოსალოდნელია, რომ ჰაგის სასამართლომ სხვა რუს მაღალჩინოსნებზეც დაპატიმრების ორდერი გასცეს?**

- სავსებით მოსალოდნელია. თქვენ იცით, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის საკითხი დღემდე განიხილება ჰაგაში. ამას წინათ ამ სასამართლომ აგვისტოს ომთან დაკავშირებით თქვა, რომ ქართველ სამხედროებს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ. პირიქით, აღინიშნა, რომ რუსმა სამხედროებმა და სეპარატისტებმა ჩაიდინეს სამხედრო დანაშაული. ისიც იცით, რომ ევროპულმა სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგადად რუსეთი დაადანაშაულა. ვიმედოვნებ, რომ ჰაგის საბოლოო განაჩენით რუსეთს პასუხი მოეთხოვება, ეს შეეხება როგორც პოლიტიკურ ელიტას, ასევე იმ გენერალიტეტს, რომლებიც უშუალოდ ომის მსვლელობაში იყვნენ ჩართულნი. მათ ნამდვილად განახორციელეს ქართველთა ეთნოწმენდა ცხინვალის რეგიონში და ადგილობრივი მოსახლეობა ლტოლვილებად აქციეს.

**- პუტინის მიმართ გამოტანილი განაჩენი უკრაინის ომს უკავშირდება, ეს ომი გახდება თუ არა რუსეთის დაშლის ფაქტორი?**

- უკრაინა-რუსეთის ომი შეიძლება გარკვეულწილად, ამ უკანასკნელის დაშლის დასაწყისად ჩაითვალოს, ასევე, პუტინის მმართველობის დასასრულადაც. როგორც მოგეხსენებათ, რუსეთი მრავალეთნიკური სახელმწიფოა, თუ აქ სამოქალაქო ომი გაჩაღდა (რაც ამ ქვეყნის ისტორიაში არაერთხელ მომხდარა), არ არის გამორიცხული მისი დაშლაც, თუმცა როგორც აღვნიშნე, დასავლეთი არ არის დაინტერესებული ამ სახელმწიფოს დაშლით, რადგან ეს არაერთ თავსატეხ პრობლემას შეუქმნის ცივილიზებულ მსოფლიოს.

**- რუსეთი უკან დახევას ჯერჯერობით არ აპირებს, მაგალითად, მოლდოვაში პროდასავლურ მთავრობას სერიოზულ პრობლემებს უქმნის, ამაზე რას ფიქრობთ?**

- მოლდოვაში განვითარებულ მოვლენებს თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ რუსეთი მოლდოვის პროდასავლური ხელისუფლების შეცვლას ცდილობს, ასევე, ლამობს ქვეყანაში სამოქალაქო ომის გაჩაღებას. ჯერჯერობით, კიშინიოვი უმკლავდება პრორუსულ ძალებს. სხვათა შორის, კრემლი საქართველოშიც ცდილობს ანტიდასავლური ძალების გააქტიურებას, ჩვენთანაც არის ორგანიზაციები, რომლებიც პრორუსულ დისკურსს ავითარებენ. ეს ანტიდასავლური ორგანიზაციები უნდა აიკრძალოს, რადგან ისინი ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ევროპულ არჩევანს ეწინააღმდეგებიან. უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს გადარჩენის გზა ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებაშია.

**- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით რუსეთ-უკრაინის ომს, თქვენი აზრით, რამდენ ხანს შეიძლება იგი გაგრძელდეს?**

- როგორც ცნობილია, რუსეთ-უკრაინის ომი ერთ წელზე მეტია მიმდინარეობს და უკვე დასკვნის გაკეთება შეიძლება. უკრაინამ შეძლო არა მხოლოდ გამკლავებოდა რუსეთის არმიას, არამედ კონტრშეტევაზეც გადავიდა, გაათავისუფლა რამდენიმე ოკუპირებული რეგიონი, მათ შორის ხერსონი, ახლა ძირითადი ბრძოლები დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში მიმდინარეობს. უკრაინულმა არმიამ გამოფიტა რუსული ჯარი, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი დასავლეთმა შეიტანა. ეს ომი, სამწუხაროდ, შესაძლოა, რამდენიმე თვე კიდევ გაგრძელდეს, რაც საბოლოოდ, რუსეთისთვის იქნება სავალალო. აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, თავის დროზე დასავლეთი უფრო პრინციპული რომ ყოფილიყო რუსეთის მიმართ, ანუ სანქციები დაეწესებინა თუნდაც 2008 წელს, ახლა მსოფლიო უკრაინის ტრაგედიის მომსწრე არ იქნებოდა.

**- დაბოლოს, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი სახელმწიფოებრიობის განმტკიცების თვალსაზრისით?**

- ცხადია, ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება კანდიდატის სტატუსის მინიჭება, რაც ნიშნავს მეტ ფინანსებს, დემოკრატიის მშენებლობას, ღირებულებების დამკვიდრებას, კეთილდღეობას, უსაფრთხოებას. დიახ, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება ჩვენი გადარჩენის და განვითარების გარანტიაა. ქართული საზოგადოება ერთ საკითხში უნდა შეთანხმდეს - ევროპა და ზოგადად, დასავლეთი საქართველოსადმი კეთილადაა განწყობილი. ამის თქმის საფუძველს იძლევა თუნდაც ის, რომ დასავლეთმა ჩვენს ქვეყანას არა მხოლოდ პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა ევროკავშირსა და ნატოში გასაერთიანებლად, არამედ ეკონომიკური და ფინანსური დახმარებაც გაუწია. ასე რომ, გზა ევროკავშირსა და ნატოსკენ წარმატებული ქვეყნების ხვედრია და თუ ამ გზით ვივლით, მაშინ არც პროგრესულ ქვეყანათა მხარდაჭერა და თანადგომა მოგვაკლდება.

## უცხოეთი

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჟოზეფ ბორელმა გააფრთხილა ბელარუსი, არ განათავსოს რუსული ბირთვული იარაღი თავის ტერიტორიაზე, რადგან ამ ნაბიჯმა შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი სანქციები. მისი თქმით, ეს არის „უპასუხისმგებლო ესკალაცია“, რომელიც საფრთხეს უქმნის ევროპას. „ბელარუსს ჯერ კიდევ შეუძლია შეაჩეროს ეს, ეს მათი არჩევანია“, - განაცხადა ბორელმა. ამასთან, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, არ არსებობს იმის ნიშნები, რომ რუსეთი ბირთვული იარაღის გამოსაყენებლად ემზადება. შეგახსენებთ, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის თქმით, მოსკოვი და მინსკი ბელარუსის ტერიტორიაზე ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსებაზე შეთანხმდნენ.

* * *

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა რუს კოლეგა ვლადიმერ პუტინს სატელეფონო საუბრის დროს უკრაინაში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდა. ინფორმაციას გამოცემა „პოლიტიკო“ თურქეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ცნობით, ერდოღანმა მადლობა გადაუხადა პუტინს „შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივის“ შეთანხმების გაფართოების საკითხზე პოზიტიური პოზიციისთვის.

* * *

„პუტინი მანამდე არ გაჩერდება, ვიდრე უკრაინას სრულად არ ჩაიგდებს ხელში. როდესაც პრეზიდენტი გავხდები, ომს 24 საათში გავაჩერებ და თავიდან ავიცილებთ მესამე მსოფლიო ომს“, - განაცხადა აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტეხასში, ამომრჩევლებთან შეხვედრისას. ტრამპის თქმით, სწორედ მისი პრეზიდენტობის დროს დაიწყო შეერთებულმა შტატებმა უკრაინისთვის იარაღის მიწოდება, მისი წასვლის შემდეგ კი, პუტინმა ბაიდენის სისუსტე დაინახა და უკრაინას თავს დაესხა.

* * *

გერმანიაში ფართომასშტაბიანი სატრანსპორტო გაფიცვა დაიწყო. მასში აეროპორტების, სარკინიგზო სისტემის, პორტების თანამშრომლები და ავტობუსების მძღოლები მონაწილეობენ. საყოველთაო 24-საათიანი გაფიცვის გამო ქვეყნის მასშტაბით გართულებულია გადაადგილება. ქვეყნის პროფესიული კავშირების წარმომადგენლები დასაქმებულებისთვის ანაზღაურების მომატებას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, მიმდინარე გაფიცვა ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია.

* * *

ისრაელში საყოველთაო გაფიცვას შეუერთდნენ ქვეყნის უდიდესი - ჰაიფას პორტის თანამშრომლები, სავაჭრო ცენტრების ქსელი Azrieli Group-ი, ყველა რესტორანი დახურა „მაკდონალდსმა“ და რეისები შეწყვიტა თელ-ავივის ბენ გურიონის აეროპორტმა, 27-მა მერმა კი შიმშილობა გამოაცხადა. პროტესტი მართლმსაჯულების რეფორმამ გამოიწვია, რომლის თანახმად მთავრობას სრული კონტროლი ექნება კომიტეტზე, რომელიც მოსამართლეებს ნიშნავს.

მოამზადა
ია შველიძემ

# «ნაღვარევში პრობლემები მოგვარდება»

***ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ვესტუმრე პირველად ნაღვარევს. მაშინ მთა კიკიბოს ფერდობები ნაძვის, სოჭის, წიფლის ხეებით იყო დაფარული, არც მეწყრული პროცესები მძვინვარებდა. ფოთაროს, ძაღიანის უბნებში დამოუკიდებელი დაწყებითი, ხოლო 150-კომლიან სოფელში 8-წლიანი სკოლები მოქმედებდა. როგორც იტყვიან, სოფელში ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა***

გავიდა დრო და სოფელი მეწყრულმა პროცესებმა შეაწუხა. ჭარბი შრომითი რესურსის გაყვანისა და სტიქიის ზონიდან მოსახლეობის განრიდების მიზნით, 1973 წელს ნაღვარევიდან კახეთში 30 ოჯახი გადავიდა

საცხოვრებლად, ეს პროცესი მრავალკომლიანი სოფლისთვის უმტკივნეულო და შეუმჩნეველი იყო, ის კი არა, მოსწავლეთა საკმაო კონტინგენტის გამო, სოფლის 8-წლიანი სკოლა 1984 წელს საშუალოდ გადაკეთდა.

მთისპირა სოფლის დაშლა-დაცარიელების პროცესი წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ჯერ შეუმჩნევლად, შემდეგ მტკივნეულად. თითქოს სოფლისადმი ყურადღებას მაშინაც და ახლაც ყველა იჩენდა, მაგრამ ვერც გიდელას ხევში - 68 მეტრი სიგრძის, ჭინჭაოს ღელეზე - 40-მეტრიანი, სოფელში კიდევ ორი ხიდის გაკეთება, მოძველებული სკოლის შენობის ახლით ჩანაცვლება, სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა აღმოჩნდა საკმარისი. სოფელში მუდმივად მცხოვრებთა რაოდენობა 50 კომლამდე ჩამოვიდა. ყველას უკვირდა ნაღვარევის ასე უცბად დაცარიელება...

21-ე საუკუნეში, ტურიზმის განვითარების ფონზე, თითქოს ნაღვარევს მეტი დატვირთვა უნდა შეეძინა, მაგრამ სოფლიდან მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მაინც

ადლო შემსრულებელმა ხასან ხილაძემ. გულდასაწყვეტი იყო, როცა ზამთარგადატანილ ნაღვარევს შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად ვეწვიეთ და ეს ორი სტუმართმოყვარე ადამიანი სოფელში აღარ დაგვხვდა.

მერიის, საკრებულოს ხელმძღვანელები იმ კრებას ესწრებოდნენ, რომელსაც «სოფლის მხარდაჭერის პროგრამის» ფარგლებში მობილიზებული თანხა მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად უნდა გადაენაწილებინა. აქ 12 ათასი ლარი სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობასა და გარე განათებაზე მიმართეს. საჯაროდ მადლობაც გადაუხადეს «ენერგო-პრო ჯორჯიას» შუახევის ცენტრის ხელმძღვანელობას, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს წყალსაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში სულიკო ბოლქვაძეს, შუახევის მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძეს, მექანიზატორ ამირან დავითაძეს, ელექტრომონტიორებს ჯამბულ ცინარიძეს, გელა ზოიძეს. ამ ადამიანებმა დიდი შრომა გასწიეს, რომ წყალსაყარი-ნაღვარევის მონაკვეთზე თოვლისგან დაზიანებული ელექტრო-ოგადამცემი სადენი ორ დღეში აღედგინათ და სოფლისთვის დენი მიეწოდებინათ.

შეხვედრაზე ნუგზარ ქათამაძემ, მამია კილაძემ, თეიმურაზ ბერიძემ, ლევან წილოსანმა, აიშე მურვანიძემ ხელმძღვანელობას პრობლემებზე მიუთითეს. პირველ რიგში, გიდელას ხევში 68 მეტრი სიგრძის ხიდზე საყრდენი ბოძების ამოყვანა მოითხოვეს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ ამ ხევში შემოვლითი გზის გასაკეთებლად რეგიონული ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარია მობილიზებული და ხიდზე საყრდენი ბოძების ამოყვანა საჭირო აღარაა.

გამომსვლელებმა ისიც აღნიშნეს, რომ მარტი იწურება და სოფლის დასაწყისიდან (ცაცხვნარა) მორიკულამდე გზა თოვლის საფარისგან გაწმენდილი არაა, ქათამაძეების უბანში გარე განათების 16 ფარია დაყენებული და მთელი ზამთარი არცერთი არ განათებულა, გასულ წელს სოფელში სასმელი წყალი გამოიყვანეს, მაგრამ შემსრულებლებმა სათავე ნაგებობა წესიერად არ გააკეთეს, სოფლის გზებზე, წყალსაყარი-ნაღვარევის ცალკეულ უბნებში ბეტონის საფარი უხარისხოდ დაიგო, ნაღვარევში მობილური ტელეფონით სარგებლობა ისევ პრობლემაა...

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა რიგი პრობლემები ნაღვარეველებს სამუშაო პროცესში გადაუწყვიტეს, დანარჩენს კომპეტენტური ორგანოების ჩარევით მალე მოუგვარებენ.

ნაზამთრალ სოფელში 19 ოჯახია დარჩენილი. საჯარო სკოლის დირექტორ მერი ტაკიძეს თუ ვერწმუნებით, ზამთარი უმტკივნეულოდ გადაიტანეს, მხოლოდ 2 დღით შეწყდა სასწავლო პროცესი და ისიც შაბათის ხარჯზე აანაზღაურეს. 18 მოსწავლეს 12 პედაგოგი ემსახურება. ამ ეტაპზე მხოლოდ ფიზიკის მასწავლებელი აკლიათ. ნიტა დავითაძის სახით, ნაღვარევს ერთი წევრი შემატებია. სოფლის უხუცესები მუხამედ ქათამაძე და სულთან დავითაძე ისევ მხნედ არიან. გაზაფხულიდან ახალ საცხოვრებელში ბინას დაიდებს სახალხო დღესასწაულ «ნაღვარევობის» წამომწყები ომარ ტაკიძე.

- ნაღვარევი შუახევის ცენტრიდან ყველაზე შორეული სოფელია. სხვა სოფლებისა და დასახლებული უბნების მსგავსად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ყურადღება არც მას აკლია, პრობლემები, რომლებიც დღეს დასახელდა, მოუგვარებელი არ დარჩება. როგორც კი სახნავ-სათეს ნაკვეთებში თოვლი დადნება, აქაურებს ტრაქტორს გამოვუგზავნით და სავარგულებს უფასოდ დავუხნავთ. ნაღვარევი ტურიზმის განვითარებისთვის მიმზიდველ ადგილად რჩება. გიდელას ხევში შემოვლითი გზის გაყვანაც ამ მიზნით იგეგმება. ჩვენთვის სოფლის შენარჩუნება, მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა მთავარ მიმართულებად რჩება, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გურამ ზოიძემ.

# აჭარის პირადი პირველობა - ქართულ ჭიდაობაში

***ქედის კომპლექსურმა სასპორტო სკოლამ 18 წლის და ზემოთ ასაკის სპორტსმენებს შორის აჭარის პირად პირველობას უმასპინძლა ქართულ ჭიდაობაში. 5 წონით კატეგორიაში აჭარის მუნიციპალიტეტების 25-მა სპორტსმენმა მოსინჯა ძალები***

ასპარეზობის მონაწილეებსა და გულშემატკივრებს მიესალმა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე. მან ფედერაციის თანადგომისთვის, აჭარაში ქართული ჭიდაობის განვითარების, პოპულარიზაციისა და წინსვლის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისთვის ფედერაციის მადლობის სიგელი გადასცა ქედის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორ მანუჩარ ჯიჯავაძეს. თავის მხრივ, მანუჩარ ჯიჯავაძემ მადლობა გადაუხადა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციას აქტიური თანამშრომლობის, ქედელი სპორტსმენების მიმართ გამოხატული ყურადღებისა და სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობისთვის.

ფედერაციის პირველი ვიცეპრეზიდენტი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი გელა ზოიძე პირველობის მონაწილეებს მსაჯთა ბრიგადასა და შეჯიბრების რეგლამენტზე ესაუბრა.

საინტერესო და დაძაბულ შეხვედრებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

60 კგ წონით კატეგორიაში ქედელი მარად გორგაძე იყო პირველი, მეორე და მესამე ადგილებზე შუახეველები გიგა ფუტკარაძე და როინ ხიმშიაშვილი გავიდნენ.

70 კგ-ში რომან ხიმშიაშვილმა (შუახევი), გიორგი ბოლქვაძემ (ბათუმი) და მირიან მამალაძემ (შუახევი) გაიმარჯვეს.

80 კგ-ში საპრიზო ადგილები სულხან აბაშიძემ (შუახევი), ნოდარ ალორთქიფანიძემ (ქედა) და რიჩარდ ფუტკარაძემ (შუახევი) გაინაწილეს.

90 და 90 კილოგრამს ზევით წონით კატეგორიებში ჩემპიონები თამაზ დიასამიძე (ბათუმი) და არმაზ ჯაბნიძე (ქედა) გახდნენ.

შეჯიბრებაში წარმატებული სპორტსმენებისგან აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის დიდების ნაკრები დაკომპლექტდა, რომელიც რეგიონის სპორტულ ღირსებას გორში, საქართველოს პირად პირველობაზე დაიცავს.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციამ შესაბამისი სიგელებით, მედლებით, თასებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

პირადი პირველობა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

# საზეიმო საღამო და პრემიერა - ხულოს თეატრში

***თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო და სპექტაკლის პრემიერა გაიმართა ხულოს იუსუფ ზოიძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში***

საღამოზე დააჯილდოვეს აჭარის თეატრალური საზოგადოების ყოველწლიურ კონკურსში „საუკეთესო სცენური ნაწარმოები“ გამარჯვებული ნომინანტები, ასევე, შედგა ჟურნალ „აფსაროსის“ მეთერთმეტე ნომრის პრეზენტაცია.

ღონისძიების მონაწილეებს თეატრალური საზოგადოებისა და ხულოს ხელმძღვანელები მიესალმნენ.

საზეიმო ცერემონიის შემდეგ გაიმართა ფრენსის ვებერის ნაწარმოების მიხედვით დადგმულ სპექტაკლ „ბრიყვთა ვახშამის“ პრემიერა. სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა, პროფესორმა თამაზ ბოლქვაძემ. რეჟისორის თანაშემწეა ბუხუტი აბულაძე. მონაწილეობდნენ: ლაშა აბულაძე, ნინო ქარცივაძე, ედნარ ბოლქვაძე, გიორგი გახარია, ანრი მუთიძე, გურამ თავართქილაძე, გვანცა ბეშკენაძე.

# მიწისძვრით დაზარალებულებს ეხმარებიან

თურქეთ-სირიის მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად ქედაში, უჩხითის საჯარო სკოლის საინიციატივო ჯგუფის „მემატიანეების“, ქედის რესურსცენტრისა და წითელი ჯვრის ქედის ფილიალის მხარდაჭერით, საქველმოქმედო აქცია ჩატარდა. კამპანიაში ჩართული იყვნენ ქედის სათემო განათ–ლების ცენტრი, სოფლების უჩხითის, მახუნცეთის, ქვედა მახუნცეთისა და დაბა ქედის ვახტანგ პაპუნიძის სახელობის სკოლის მოსწავლეები, ასევე, ხეზე ძერწვის ოსტატი რევან ყოფაძე და ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრთან“ არსებული წრეების წევრები.

აქციას ესწრებოდნენ და გამოფენაგაყიდვაში მონაწილეობდნენ ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. საქველმოქმედო კამპანიის ფარგლებში გაყიდული ნივთებიდან შემოსული თანხა სრულად გადაირიცხება თურქეთ-სირიაში მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

**გვერდი მოამზადა**
**ოთარ ცინარიძემ**

# „მხოლოდ სიყვარულს შესწევს უნარი, ჩვეულებრივი უჩვეულოდ წარმოაჩინოს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***შარშან ჟურნალ „ჭოროხში“ ქეთი გაბინაშვილის მოთხრობები რომ გამოქვეყნდა, მრავალმა მკითხველმა გამოხატა თავისი აღფრთოვანება, თავად ჟურნალის რედაქტორმა სანდრო ბერიძემ კი საჯაროდ დააფიქსირა თავისი აზრი სოციალურ ქსელში: „ამ მაგარი გოგოს ბრწყინვალე მოთხრობები იბეჭდება „ჭოროხის“ მე-4 ნომერში და წაიკითხეთ... თუ გინდათ, სამი მტკაველით აიმაღლოთ შემეცნება“***

*მართლაც რომ საოცრად ნატიფი და ღრმა შინაარსით გამოირჩევა და გვამახსოვრდება ყოველი მოთხრობა. ერთხელ კიდევ გაცხადდა, რომ ამ კალმოსნის სახით, ქართულ ლიტერატურას საიმედო დასაყრდენი აქვს... ეს ახალგაზრდა, უმშვენიერესი და უნიჭიერესი ქალბატონი, არაერთი საინტერესო პროზაული ნაწარმოების ავტორია. მისმა წიგნებმა გზა გაიკვალა მკითხველამდე და ეს ინტერესი დღითი დღე ძლიერდება. მრავალ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულს ყველგან გულღიად ეგებებიან, „საბას“ ელექტრონულ ველშიც მის წიგნს „ზღვარი“ ასობით მკითხველი ჰყავს.*

*- ჩემი გმირები სათავეს ცხოვრებიდან იღებენ. უნდა გიყვარდეს, რომ ცხოვრება შეძლო. დიადი წარსულის სადარი მომავალი შევქმნათ, - აცხადებს მწერალი ჩვენთან ინტერვიუში და მკითხველს თავის საინტერესო, მიმზიდველ, ჰარმონიულ სამყაროში სამოგზაუროდ იწვევს.*

**- ტრადიციული შეკითხვით დავიწყოთ: თქვენი ბავშვობა, ყრმობა, მშობლიური გარემო და პირველი შთაბეჭდილებები...**

- პაპაჩემი ძალიან კარგი მეზღაპრე იყო. ცხრა შვილიშვილი ვყავდით. ყოველ საღამოს ჯადოსნურ სამყაროში გვამოგზაურებდა. მისი მონათხრობი თვალსაწიერს გვიფართოებდა, ფანტაზიას გვიღვიძებდა, ოცნებას გვასწავლიდა... ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით. ერთმანეთის სიხარულით ვხარობდით და ერთმანეთის ტკივილი გვტკიოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ჩემმა ბავშვობამ მომცა, ეს სიყვარულია და განცდა, რომ მარტო არ ხარ, ძალიან ბევრი ადამიანია, ვინც შენს წილ ტკივილს ყოველთვის გაიზიარებს, მაგრამ ამავდროულად, შენც გაკისრია პასუხისმგებლობა. იმ დრომ და ერთმანეთის სიყვარულმა, რაც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ წლები მასთან ვერაფერს გააწყობს, მომცა საშუალება, ისე გავზრდილიყავი, დამვიწყებოდა ვინ ვიყავი თავდაპირველად.

**- „ის ვარ, ვის შესახებაც ვწერ“, - ამბობთ ერთ-ერთ ინტერვიუში. და მაინც, ვინ არის ქეთი გაბინაშვილი?**

- წლებმა რაც მასწავლა, ალბათ, ისაა, რომ დანამდვილებით ვერასდროს იტყვი, ვინ ხარ და რას შეიძლება ელოდოს სამყარო შენგან. სიცოცხლე სწორედ საკუთარი თავის ძიების ძალიან რთული და გრძელი გზაა. ადამიანში განუზომელი პოტენციალია ჩადებული, სანამ ცოცხალია, შესაძლოა, ზეცასაც მიაღწიოს და ქვესკნელიც იხილოს.

**- თქვენმა წიგნებმა მკითხველთა და ლიტერატორთა ყურადღება მიიპყრო, ლიტერატურული პრემიებიც მოგანიჭეს. როგორ აღიქვამთ აღიარებას?**

- აღიარება ძალიან ხმამაღალი და ცოტათი საშიში ნათქვამიცაა. რასაც წერ, თუ ერთი ადამიანის გულამდე მაინც მიდის, მაშინ ხვდები, რომ აზრი ჰქონდა იმ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას, რაც საკუთარი ნაწილის წიგნად ქცევას შეალიე. თუკი გკითხულობენ და გაფასებენ, ვალდებულებაც გეკისრება, ამ ადამიანების იმედი არ გააცრუო. უფრო მეტად მოინდომო, მეტად განვითარდე, უკეთესად შეძლო...

**- „მწერალს არ შეიძლება მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრების იმედი ჰქონდეს“, - ამბობს აკუტაგავა...**

- სიმშვიდე იქნებ მიღმიერ სამყაროში იყოს, მაგრამ დედამიწა მშვიდი ცხოვრებისთვის შექმნილი არაა. ეს განუწყვეტელი ბრძოლის ადგილია, განუწყვეტელი მოძრაობისა და სულის ფორიაქის. ყველას საკუთარი ბრძოლის ველი აქვს, საკუთარი მსხვერპლის გაღება უწევს, საკუთარი დაკარგული ნაწილი ჰყავს გამოსაგლოვი... და რადგან მწერალს უწევს, სხვა ადამიანების თვალებითაც უყუროს სამყაროს, მისი ტკივილი კიდევ უფრო დიდია, ალბათ.

**- ხელოვნური ინტელექტი მკვიდრდება ცხოვრებაში. რას ფიქრობთ ამ ეპოქისეულ გამოწვევაზე?**

- ნებისმიერი საშუალება, რომელიც ადამიანის შესაძლებლობის საზღვრებს აფართოებს, მისასალმებელია. ჩვენ ერთ ადგილზე ვერ გავჩერდებით, უნდა წინსვლისაკენ ვისწრაფოდეთ. მოგვწონს თუ არა, ტექნიკის საუკუნეა, პროგრესს ვერავინ და ვეღარაფერი შეაჩერებს და იმედია, ეს სიახლეები სასიკეთოდ აისახება კაცობრიობაზე. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ამ მხრივ მიღწევა, ტექნიკა ადამიანს ვერ ჩაანაცვლებს, ადამიანზე უპირატესი ვერავინ და ვერაფერი გახდება. ხელოვნური ინტელექტი იქნება ჩემზე ჭკვიანი, მაგრამ მას ჩემსავით არ შეეძლება უყვარდეს, სტკიოდეს, უხაროდეს... მას სული არ ექნება.

**- ცხოვრება, რეალობა თავისი შუქ-ჩრდილებით, როგორც წყარო შემოქმედების - ასეა?**

- ჩემი გმირები სათავეს ცხოვრებიდან იღებენ - იმ ემოციებისგან, რასაც ყოველდღიურად ვგრძნობ, რაც მაწუხებს, რაც მტკივა, რაც მახარებს. იმ ადამიანებისგან, რომლებმაც გვერდით ჩამიარეს და ალბათ, ვერც შემამჩნიეს, მაგრამ მათზე ფიქრი შემორჩა სხეულს. იმ ყოფითი წვრილმანებიდან, რასაც ყოველდღიურად ვაწყდებით და რასთან გამკლავებაც გვიწევს.

**- „ილია და მისი ღირებულებები მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიისას ახსენდებათ ჩვენს პოლიტიკოსებს და არჩევნების დღესვე ავიწყდებათ“, - წერთ გულდაწყვეტილი, ანუ „მართალს ვიტყვი“ თქვენი ურყევი პრინციპია...**

- ილიას ღირებულებების ერთგულება, სამშობლოს ინტერესების დაცვას გულისხმობს. ის, რასაც აკეთებ, რასაც ქმნი, რისთვისაც იბრძვი, თუ ქვეყნის კეთილდღეობას არ ემსახურება, აზრს არის მოკლებული. საკუთარ თავთან მართალი უნდა იყო, ნებისმიერ ფასად... მთავარი ღირებულებები („მამული, ენა, სარწმუნოება“) არ ძველდება, ეპოქები ვერ შეცვლიან, ვერ ჩაანაცვლებენ მას.

**- ამ რამდენიმე ხნის წინ უჩვეულო, საინტერესო ინტერვიუ გქონდათ გურამ პეტრიაშვილთან...**

- გურამ პეტრიაშვილი ის იშვიათი გამონაკლისია, ვინც იმედს არ გიცრუებს და ძალიან ჰგავს თავის ზღაპრებს, თავის პერსონაჟებს. ვისზეც წერს და რასაც წერს, იმისი სჯერა. ძალიან დიდი იშვიათობაა, ავტორი ასეთი გულმართალი იყოს თავის ნაწერთან. გურამ პეტრიაშვილის გაცნობისას რწმუნდები, რომ ცხოვრება ვერ გცვლის და შენში ადამიანს ვერ კლავს, თუკი თავად არ მოგინდება, სამანს იქით გადააბიჯო... სასიამოვნო იყო მასთან საუბარი.

**- როგორ შეაფასებთ დღევანდელ ლიტერატურულ პროცესებს, ჩვენი რეალობა რა გავლენას ახდენს ლიტერატურის განვითარებასა და მის ხარისხზე?**

- არ მივეკუთვნები იმ ადამიანებს, ვინც სკეპტიკურადაა განწყობილი თანამედროვე ქართული ლიტერატურის მიმართ. ძალიან ბევრი ნიჭიერი ავტორი გვყავს, ძალიან ბევრი კარგი წიგნი იწერება... არის პრობლემებიც: პრემიები, რომლებსაც იმისთვის ქმნიან, რომ საკუთარ თავს მიანიჭონ; უნიჭობის გადამეტებული ქება და ნიჭიერების შეუმჩნევლობა; მდარე ხარისხის ლიტერატურის პოპულარიზაცია; დაკვეთილი წიგნები; წიგნის გასაღების ბაზარზე არსებული მონოპოლია და უსამართლობა... ბევრი პრობლემაა, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ „არ ახალია, ძველია“. ალბათ, დროს წაჰყვება ყველა წვრილმანი, დროს ვერ გაუძლებს დღეს დაწერილი წიგნების უდიდესი ნაწილიც, დავიწყების მტვერში დაინთქმება ბევრი სახელი და გვარიც... და მერე, ჩვენი ეპოქისაგან ერთი ჭეშმარიტი მწერალიც თუ დარჩება, ესეც ხომ ძალიან დიდი მონაპოვარია.

**- ტრადიციები და წეს-ჩვეულებები განვითარების ამ ეტაპზე და ჩვენი დამოკიდებულება მათდამი - რა დავიცვათ, რა უკუვაგდოთ?**

- ტადიციები ჩვენი იდენტობის ნაწილია. იმის გამოხატულებაა, ვინც ვიყავით, რასაც წარმოვადგენდით. ახალ ეპოქებს ახალი წეს-ჩვეულებები ახლავს თან, რაც ძველის გარდაქმნას გულისხმობს. ცვლილებებს ყოველთვის რთულად ეგუება საზოგადოება და როცა ახალი გზის გაკვალვას იწყებ, მზად უნდა იყო წინააღმდეგობისათვისაც. მთავარი კი ისაა, რომ ამ პროცესმა საკუთარ თავთან არ დაგვაშოროს. ჩვენი მთავარი მიმართულება არ შეგვაცვლევინოს.

**- სიყვარულის დეფიციტი, სამწუხაროდ, დღეს ძალიან საგრძნობია. გაზრდილია საზოგადოებაში აგრესიული ფონი. იქნებ დროა, თუ დაგვიანებული არაა, განგაშის ზარებს შემოვკრათ?**

- თუკი ადამიანი ღმერთის ხატად და მსგავსად შეიქმნა, ღმერთი კი სიყვარულია, მაშინ გამოდის, რომ ადამიანიც სიყვარულია. ეს მისი არსია და სიყვარულის გარეშე მასში ადამიანის ღვთიური ნაწილი კვდება. არ შეუძლია ადამიანს სიცოცხლე სიყვარულის გარეშე. როგორც მზის არსი დაიკარგება თუ ის სინათლის წყარო აღარ იქნება, ასევე ადამიანის არსებობის აზრიც გაქრება სიყვარულის გარეშე. უნდა გიყვარდეს, რომ ცხოვრება შეძლო. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ამ მხრივ კატასტროფის წინაშე დგას და ამის პირველმიზეზი ქართული მედიაა, რომელიც სიძულვილს ნერგავს, რომელიც ნეგატივზეა მთლიანად აწყობილი. სოციალურმა ქსელებმა კიდევ უფრო მეტი საშუალება მისცა ადამიანს, აგრესია გაავრცელოს. გადავხედოთ, რა არის დღეს აქტუალური: მოკვლა, ძალადობა, გაუპატიურება, ძარცვა... ქუჩაში სულ უფრო იშვიათად შეხვდები გაღიმებულ ადამიანს. ის დროა, სიყვარულს ვუწევდეთ პოპულარიზაციას, სიკეთეზე ვსაუბრობდეთ, ნდობაზე, ხელის გაწვდენაზე. უნდა დავიბრუნოთ ერთმანეთი, ისევ უნდა დავიჯეროთ, რომ ადამიანში კარგი გაცილებით მეტია, სხვაგვარად გადარჩენა არ გვიწერია.

**- რა მატებს ადამიანს სულიერ ძალას, თქვენ თავად?**

- ეჭვშეუვალი რწენა და უშეღავათო სიყვარული.

**- ისტორიული წარსულიდან ვის გამოიხმობდით და რატომ?**

- დროა, დავასრულოთ სიამაყე იმით, რაც გვქონდა, ვინც ვიყავით, რაც შევქმენით, სადაც გავიმარჯვეთ, რაც გამოვჭედეთ და რისიც გვწამდა. წარსული ნამდვილად დიდებული იყო, მაგრამ ის ისტორიის ფურცლებზე დარჩა! ახლა იმაზე უნდა ვისაუბროთ, როგორ შევალთ ისტორიაში, ვინ გავხდებით, რას შევქმნით, ვისთვის ვიქნებით მაგალითის მიმცემი. საკუთარი თავის უნდა ვირწმუნოთ, უნდა გვჯეროდეს, რომ ჩვენს ძარღვებში ისევ ჩქეფს დიდგორისაკენ მიმავალი ქართველობის სისხლი. იმ დიადი წარსულის სადარი მომავალი უნდა შევქმნათ.

**- როცა წიგნის სამყაროში მოგზაურობთ, ყველაზე შეუცვლელი გიდი ვინ არის, კლასიკოსები, ანუ თქვენი თანმდევი სულები?**

- სამყარო იქნებოდა ძალიან უფერული წიგნის გარეშე. არ არსებობს წიგნი, რომელიც არ იმსახურებდეს ერთხელ წაკითხვას, მაგრამ არის კლასიკური ლიტერატურა, რომელიც რამდენჯერმე უნდა წაიკითხო, რადგან ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სულიერ ფასეულობას გაძლევს. და არის რუსთველი. არ დაწერილა, ჩემი აზრით, „ვეფხისტყაოსანზე“ დიდი წიგნი. მუდმივად საკითხავი, მუდმივად საფიქრალი, ყველა კითხვაზე პასუხია, ყველა გზის მანიშნებელია.

**- როცა ბუნებაში ხართ... აისი თუ დაისი - რომელი გიზიდავთ?**

- სასიცოცხლო ენერგიას ბუნებისგან ვიღებ, ზღვა მაძლევს ძალას, ჩემი სიმშვიდის წყაროცაა და ჩემი მორიგი აღელვების მიზეზიც. დაისი მიყვარს - ღამის ადამიანი ვარ.

**- როცა სილამაზე მშვენიერებად იქცევა და მისი გავლენა ყველა ჩვენგანზე...**

- მხოლოდ სიყვარულს შესწევს უნარი, ჩვეულებრივი უჩვეულოდ წარმოაჩინოს, მშვენიერებად აქციოს, ხელოვნებას კი ხელოწიფება სხვა ადამიანების გულებამდე მიიტანოს და ისინიც გახადოს სასწაულის თანაზიარნი.

**- რას ჰკითხავდით საკუთარ თავს?**

- სად და რატომ დამარხე ტალანტი, რომელიც უფალმა მოგცა და სად დაკარგე გზა, რომელიც შენთვის იყო გამზადებული?

> ***„დროა, დავასრულოთ სიამაყე იმით, რაც გვქონდა, ვინც ვიყავით, რაც შევქმენით, სადაც გავიმარჯვეთ, რაც გამოვჭედეთ და რისიც გვწამდა. წარსული ნამდვილად დიდებული იყო, მაგრამ ის ისტორიის ფურცლებზე დარჩა! ახლა იმაზე უნდა ვისაუბროთ, როგორ შევალთ ისტორიაში, ვინ გავხდებით, რას შევქმნით, ვისთვის ვიქნებით მაგალითის მიმცემი***

# ისრაელის საელჩო-საკონსულოები დაიხურა

ისრაელში საყოველთაო გაფიცვის გამო გუშინ, მსოფლიოს მასშტაბით, საელჩოები და საკონსულოები დაიხურა.

მედიის ცნობით, ისრაელელი დიპლომატები საყოველთაო გაფიცვას შეუერთდნენ, რომელიც მიზნად ისახავს, აიძულონ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, შეაჩეროს სასამართლო სისტემის რეფორმა.

გასაგებია, რომ ამ მიზეზით ისრაელის დიპლომატიური მისია გუშინ საქართველოშიც დაიკეტა. შეჩერებულია საკონსულო მომსახურებაც.

„საყოველთაო გაფიცვა: გაცნობებთ, რომ ისრაელის საელჩო საქართველოში დღეს დაკეტილია. ისრაელში პროფკავშირების მიერ საყოველთაო გაფიცვის შესახებ განცხადების გავრცელების შემდეგ, ისრაელის საელჩო საქართველოში დაიკეტა, რაც ძალაშია შემდგომ განცხადებამდე. გაფიცვის დროს საკონსულო მომსახურება შეჩერებულია. ცხელი ხაზი, გადაუდებელი შემთხვევებისთვის, განაგრძობს მუშაობას (+995 32 2556500). შემდგომი განცხადება განთავსდება ჩვენს სოციალურ ქსელში“, - ნათქვამია ინფორმაციაში, რომელიც საქართველოში ისრაელის საელჩომ გუშინ გაავრცელა.

ამირან გურიელიძე

# უპასუხისმგებლო და მაესკალირებელი...

ასე გამოეხმაურა გერმანია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებას ბელარუსში ბირთვული იარაღის განთავსების თაობაზე. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, კრემლის ლიდერის განცხადება „რუსეთის მხრიდან ბირთვული დაშინების შემდგომი მცდელობა“ იყო. „ჩვენ ამ რიტორიკას უპასუხისმგებლოდ მივიჩნევთ და მას ცალსახად უარვყოფთ“, - აღნიშნა გერმანიის საგარეო უწყების წარმომადგენელმა.

პუტინის განცხადებას ბელარუსში ბირთვული იარაღის განთავსების შესახებ გერმანიის მთავრობის პრეს-სპიკერიც გამოეხმაურა და მას „მაესკალირებელი“ უწოდა.

„ეს მაესკალირებელი ნაბიჯებია, რომლებსაც ახლა რუსული მხარე აგრძელებს, სულ მცირე, რიტორიკულად“, - აღნიშნა გერმანიის მთავრობის პრეს-სპიკერმა.

ამირან გურიელიძე

# ქართულ სიტყვას ეჭიდება

***ახალგაზრდა ქართველი პოეტი ქალის ნანა კონცელიძე-ჯაბნიძის ლექსების კრებული პოეტური სათაურით „ცა არ დაკარგავს მზეს...“, რომელიც ავტორს ამავე სახელწოდების ლექსიდან აუღია, მესამეა მის შემოქმედებით ცხოვრებაში. კრებულში შეტანილია ბოლო წლებში დაწერილი ლექსები, რომლებმაც პოეზიის არაერთი მოყვარულის გული დაიპყრო. მათ შორისაა ამ სტრიქონების ავტორიც***

დიდი რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი ამბობდა: „ადამიანებში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს: სახეც და ტანსაცმელიც, სულიცა და აზრიც“. ეს სიტყვები თითქოს ქალბატონ ნანა კონცელიძე-ჯაბნიძეზეა ნათქვამი. მასში ყველაფერი მიმზიდველი, მომხიბვლელია.

ცნობილი ქართველი პოეტი ცისანა ანთაძე წერს: „...ნიჭიერებით, სილამაზით, სათნოებით, ავტორიტეტით, ოჯახიშვილობით გამორჩეული ნანა კონცელიძე-ჯაბნიძე ჭეშმარიტი პოეტია. ამას მათქმევინებს წინამდებარე წიგნში (საუბარია ქალბატონი ნანას 2002 წელს გამოცემულ კრებულზე „ვედრება“) თავმოყრილი მისი ლექსები. მათში ვხედავ ნარნარ ფერებს, პოეზიისათვის ესოდენ საჭირო სისადავესა და გულუბრყვილობას, სულის ელვარებას“.

პოეზიის მეტრი, დიდი ზურაბ გორგილაძე კი მასზე წერდა: „ავტორს კარგად აქვს განცდილი ქართული სიტყვის ხიბლი, ფერადი და ხატოვანია ლექსის ქსოვილი“. ზურაბ გორგილაძე რომ ამგვარ სიტყვებს ჰაიჰარად არ ისროდა, ეს ყველასათვის ცხადია. მას შემდეგ 20 წელზე მეტი გავიდა, ამ ხნის განმავლობაში პოეტი ქალბატონის სულში თანდათან მწიფდებოდა პოეტური სახეები.

დღეისათვის ქალბატონი ნანა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამი პოეტური კრებულის ავტორია. ორი უკვე დავასახელე, მესამეა - „ზღვის ტალღებში“ (2013 წ.).

ნანა კონცელიძე-ჯაბნიძის, როგორც პოეტის, სახელი, სამწუხაროდ, ჯერ კარგად არაა ცნობილი პოეზიის მოყვარულთათვის. ამის მიზეზი თავად არის. იგი მეტად მოკრძალებული, თავმდაბალი პიროვნებაა. საჯარო გამოსვლები მისი სტიქია არაა, ყველაფერს ჩუმად და უხმაუროდ აკეთებს. იშვიათად მონაწილეობს აჭარის მწერალთა შეხვედრებსა და კონფერენციებში, თუმცა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრია და მოვალეცაა აქტიურად ჩაერთოს ასეთ ღონისძიებებში. აქედან გამომდინარე, მას უფრო იცნობენ როგორც მეცნიერს, მკვლევარს, ვიდრე პოეტს, რადგან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, სამი სახელმძღვანელოს, თორმეტი მეთოდური რეკომენდაციის, სამოცდათხუთმეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გახლავთ, კითხულობს ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო და წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტებში.

ქალს, საზოგადო მოღვაწეს, საქმეს რა გამოულევს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქალბატონი ნანა მაინც პოულობს დროს და ქართულ სიტყვას ეჭიდება, ქსოვს და აშალაშინებს ახალ-ახალ ლექსებს. ეს პოეზიის უსაზღვრო სიყვარულიდან გამომდინარეობს. ერთ-ერთ უსათაურო ლექსში იგი ამბობს:

**„ულექსოდ რაა ცხოვრება,**
**დღეებს ვედები ქარად,**
**უფალმა თავად მაკურთხა,**
**დედად, ლექსად და ქალად“.**

არ ვაპირებთ ავტორის წიგნში შესული ყველა ლექსის განხილვასა და შეფასებას. ეს პროფესიონალი კრიტიკოსების საქმეა. გვსურს მკითხველს მხოლოდ რამდენიმე ლექსზე გავუზიაროთ ჩვენი შთაბეჭდილებები და მოსაზრებები.

ნანა კონცელიძე-ჯაბნიძე, უწინარეს ყოვლისა, ლირიკოსი პოეტია. მისი ლექსები წყაროსავით ანკარაა, ნაკადულივით მოსჩქეფს და მორაკრაკებს, გვხიბლავს ლირიზმით, უშუალობით, აზრის სიცხადითა და სხვა პოეტური ღირსებებით. კრებულში წარმოდგენილი ლექსები მდიდარია მეტაფორებით, ეპითეტებითა და შედარებებით. ავტორი გაურბის მყვირალა, არაფრისმთქმელ, ნაძალადევ ფრაზებს. იგი, ჩვეულებრივ, ტრადიციულ, რითმიან ლექსს არჩევს, ამასთან, ამჯობინებს ჯვარედინა რითმებს. ამიტომაც ასე ლაღად და თავისუფლად, ერთი ამოსუნთქვით იკითხება მისი ლექსები. ისინი ადვილად იკაფავენ გზას მკითხველის გულისაკენ და მიზნად მის გაკეთილშობილებას ისახავენ.

ხსენებულ კრებულში შესული ლექსები დაწერილია ცხოვრების კარნახით. თითოეულ მათგანში იგრძნობა ეროვნული სული, მოქალაქეობრივი პათოსი, რეალისტური, ცხოვრებისეული თემებისადმი ერთგულება. პოეტი გატაცებით უმღერის მშობელ მხარეს, მის მადლიან მიწასა და ზურმუხტოვან ველ-მინდვრებს; ქადაგებს ადამიანებს შორის სიყვარულს, ჭირისა და ლხინის თანაზიარობას. მისი ლირიკის მთავარი ნიშანსვეტია თანამედროვე საქართველოს ბედ-იღბალი, ქართველი კაცის სატკივარის გულთან მიტანა და გათავისება. იგი გვერდს არ უვლის სოციალურ პრობლემებს, არც იმ ტკივილებს, რაც ესოდენ ჭარბად გვხვდება ჩვენს შეჭირვებულ საქართველოში. ამ თვალსაზრისით პოეტი თანამედროვეობის შვილია, დღევანდელი პრობლემებით ცხოვრობს და საზრდოობს.

**„ღმერთმა სამშობლო გვიცოცხლოს**
**მთა-ჭიუხებით, მდელოთი.**
**ლაშარის გორზე შემდგარი**
**ლუხუმის საქართველოთი“.**

ნანა კონცელიძე-ჯაბნიძე, ძირითადად, წერს იმაზე, რაც საკუთარი თვალით უნახავს და განუცდია, რაც მის სულს აფორიაქებს. იგი ულამაზეს საკურორტო ქალაქ ქობულეთის ზღვის სანაპიროზე დაიბადა, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ და პატარაობიდან ზღვისა და ბუნების სილამაზით ტკბებოდა. ამიტომაცაა ბუნების ჭეშმარიტი მხატვარი. კითხულობ მის ლექსებს და თვალწინ საქართველოს შესანიშნავი მხარის - აჭარის მშვენიერი ბუნება იშლება, ამის საუცხოო დასტურია ლექსი „ჩემი სახლიდან“, სადაც იგი წერს:

**„მე აქაური ქარიც კი მათბობს,**
**მალხენს შრიალი მინდორ-ველების,**
**თუ დამჭირდება სიცოცხლეს დავთმობ,**
**მაგრამ ამ მიწას ვერ შეველევი.**

ქალბატონი ნანას ლექსები, ძირითადად, ოპტიმისტური ხასიათისაა. პოეტს ასულდგმულებს ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავალი, მისი წინსვლა და წარმატებები, მაგრამ ზოგჯერ სევდაც მოეძალება:

**„არც ის სასახლე მინდა,**
**რაიც აქამდე მსურდა,**
**იმ კაეშანს და სევდას**
**სადმე გავექცე უნდა.**
**აღარც ლექსები მინდა,**
**ვეღარც მუსიკას ვუსმენ,**
**წავალ მეგობარს ვნახავ,**
**თავს შევახსენებ ვისმე“.**

ასეთ მელანქოლიურ სიტყვებს ვხვდებით ლექსში „მინდა ჩავაქრო შუქი“.

პოეტისთვის არც მიჯნურობაა უცხო. ამ მიმართებით გამოირჩევა მისი ლექსი: „განთიადთან ერთად“:

**„რა მშვენიერი იყო ის დილა,**
**ცა მაღალი და ლურჯად ნაფერი.**
**შენ ჩემს დალალებს შეეხე ფრთხილად,**
**მზის სხივებივით მკერდზე დაფენილს.**
**რამ დამავიწყოს ის ჟრუანტელი, -**
**ჩემთვის ქვეყანა სასწაულს ჰგავდა,**
**ცა იყო სავსე დილის ნათელით,**
**არვინ მახსოვდა ირვლივ შენს გარდა“.**

სიყვარულის თემას ეძღვნება ასევე ლექსები: „რაღაც იღვიძებს სულში“, „სანამ“ და სხვები.

იშვიათი შემთხვევაა, რომ პოეტი სიყვარულით გამთბარ სტრიქონებს უძღვნიდეს დედამთილ-მამამთილს. ნანა კონცელიძე-ჯაბნიძე ლექსში „დედამთილს“ წერს:

**„ვცადე ლექსისთვის სულ სხვაგვარი სახე მიმეცა,**
**დავხატე ქალი, მზით უბრწყინავს სახე რომელსაც;**
**პირმშვენიერი, დედასავით თბილი, ხმატკბილი**
**მარჯვენავ ჩემო, დაილოცოს შენი მანდილი!“**

ქალბატონმა ნანამ მამამთილს დაბადების 50 წლისთავი ლექსით „მე თქვენ გენდობით“ ასე მიულოცა:

**„ამ თბილ ჭერის ქვეშ მოხვედრას**
**ვლოცავ,**
**სადაც სიმღერა ერდოებს ავსებს.**
**ბეღურასავით ვზივარ და ვკენკავ,**
**თქვენს ხელზე დაყრილ სიკეთის**
**მარცვლებს.**

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**გეძახით მამას, კრძალვით და რიდით,**
**მოყვარისათვის კარი მაქვს ღია,**
**ასე მგონია, მუხისძირს თრთოლვით,**
**მოვსულვარ თქვენთვის პატარა იად“.**

პოეტი არც თავის მასწავლებლებს ივიწყებს, რომლებმაც, მშობლებთან ერთად, აღზარდეს იგი და პიროვნებად ჩამოაყალიბეს; შეაყვარეს ჩვენი ქვეყანა, მისი აქოჩრილი მთები და მწვანე, ხასხასა ველ-მინდვრები, მშრომელი კაცის დაკოყრილი ხელები.

**„დავესესხები პოეტის სიტყვებს,**
**ამით შენდობას შევთხოვ ზეციერს -**
**ვწუხვარ, ასაკში რომ გაგისწარით**
**და სიყვარულში ვერ დაგეწიეთ“**, - დანანებით ამბობს იგი ლექსში „ჩემს მასწავლებლებს“.

კრებულში წარმოდგენილი ლექსებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლექსებმა: „პეტრას ციხე“, რომლითაც იწყება კრებული, „ტბა ტაბაწყურის“, „ზურაბ გორგილაძეს“, „რუსთაველი“, „მხოლოდ შენთვის“, „ვედრება“, „პოეტს“, „დედაო მიწავ“, „საღამოს ტბასთან“, „სიტყვა“, „გამოგვინათე მზეო“, „მუხრან ვახტანგაძეს“, „ცისანა ანთაძეს“ და მრავალი სხვა, მაგრამ ასეთ ლექსებთან ერთად, გვხვდება სუსტი ლექსებიც და არცაა გასაკვირი, ნებისმიერი პოეტის ლექსების კრებულში ეს ჩვეულებრივი, ყველა შემოქმედისთვის დამახასიათებელი მოვლენაა.

ქალბატონი ნანა ახლა თავისი შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდშია. მჯერა, გავა დრო, იგი კიდევ უფრო სრულყოფს ლექსის ტექნიკას და მისი პოეზიის მოყვარულთა რიცხვი გაიზრდება, გაორმაგდება.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა პოეტ ნანა კონცელიძე-ჯაბნიძეს სარეცენზიო კრებულისათვის გადასცა აკაკი წერეთლის სახელობის პრემია.

**ნოდარ ბასილაძე,**
**პროფესორი, საქართველოს**
**მწერალთა შემოქმედებითი**
**კავშირის წევრი**

# სულის საზრდო...

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

***სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ ლიტერატურულმა კლუბმა „ლიტერპოლო“ თანამედროვე ავტორს მარიამ გურგენიშვილს უმასპინძლა. ახალგაზრდა შემოქმედის „მარგალიტები“ „პალიტრა L“-ის პროექტ „გახდი ბესტსელერის ავტორი“ ნომინანტი და ჟიურის რჩეულია***

კლუბის წევრებმა ვრცლად ისაუბრეს წიგნში წამოჭრილ პრობლემებზე, როგორიცაა: მოტაცება, მოზარდობის სირთულეები, ბულინგი, სოციალური შეჭირვება, ოთხმოცდაათიანების მძიმე პერიოდი და ომი.

- ძალიან გახარებული ვარ. საინტერესოდ წარმოაჩინეს მოსწავლეებმა ჩემი წიგნი. ბევრი რამ თავისებურად აღიქვეს, თავიანთი ასაკიდან გამომდინარე. მოსწავლეებთან შეხვედრა, მათი მოსაზრებების მოსმენა ყოველთვის მაძლევს უდიდეს ენერგიას და სტიმულს, კიდევ უფრო მეტი ვწერო ისეთ თემებზე, რომ მათ კითხვებზე პასუხი იპოვონ, - გვითხრა მარიამ გურგენიშვილმა.

ავტორთან შეხვედრა მოსწავლეებისთვის, საინტერესოსთან ერთად, შეიძლება ითქვას, სამოტივაციოც იყო, რადგან მათ წინ იდგა ადამიანი, რომელმაც ძალიან ახალგაზრდა ასაკში დიდ წარმატებას მიაღწია და მკითხველის სიყვარული დაიმსახურა, მოახერხა ადამიანების გულამდე საკუთარი სათქმელის მთელი სიცხადით მიტანა. შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა, ისაუბრეს ქალი და კაცი პერსონაჟების შექმნის სირთულეებზე, პროტოტიპებზე, წერის ინდივიდუალურ სტრატეგიასა და, ზოგადად, სამომავლო გეგმებზე.

- მწერალთან შეხვედრა მოსწავლეებს უფრო აახლოებს ლიტერატურასთან, მასში ასახულ პრობლემებთან, იდეასთან. ეს ერთგვარი ტესტია მოსწავლისა საკუთარ თავთან, სწორად ჩაწვდა თუ არა მწერლის მთავარ გზავნილს. ასეთ შეხვედრებს სამოტივაციო ღირებულებაც აქვს. მოსწავლე თავადაც მოტივირდება, გახდეს წარმატებული და ცნობილი. ამ ტიპის ლიტერატურა ახალგაზრდებს და არამარტო მათ, ეხმარება ჩვენი ქვეყნის ისტორიის უკეთ გააზრებაში, - გვითხრა ლიტერატურულ კლუბ „ლიტერპოლოს“ ხელმძღვანელმა ნადია გუნდაძემ.

მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხა ასევე სტუმრად მყოფმა ახალგაზრდა ავტორმა გოდერძი გორგილაძემ. შეხვედრას ესწრებოდნენ მე-16 საჯარო სკოლის ლიტერატურული კლუბის წევრები და ხელმძღვანელი ია კუპრაძე.

# ქართული ცეკვის ილეთით დამყარებული გინესის რეკორდი და... ზღაპარი - ლამაზი დასასრულით

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

***ქართული ცეკვის ილეთით დამყარებული მსოფლიო რეკორდი და სცენაზე საყვარელი ქალისთვის ხელის თხოვნა ყველასთვის ცნობილი წამყვანის - ჯერი სკოტის გადაცემაში „Lo Show Del Record“ გავიდა, სადაც წამყვანი თავის ემოციებს არ მალავს და გიორგი კვანჭიანის გამოსვლას შემდეგი სიტყვებით აფასებს: „არა მარტო რეკორდებს ხსნიან, ხელსაც სთხოვენ და ოჯახებსაც ქმნიან, ესენი ვინ არიან!“***

*გიორგის წარმატების ამსახველი ვიდეო ვირუსულად მოედო მთელ ინტერნეტსივრცეს. დღეს იგი ჩვენი სტუმარია.*

**- ვინ არის გიორგი კვანჭიანი და რა გზა გაიარა გინესის რეკორდამდე?**

- ქორეოგრაფიული განათლება მაქვს მიღებული, ვარ მოცეკვავე, ასევე მენეჯერი სხვადასხვა ქვეყნის კომპანიებში, დამყავს მოცეკვავეები. რაც შეეხება გინესის რეკორდამდე გზის გავლას, შევქმენი „ტიკ-ტოკი“, სადაც უბრალოდ, გასართობად დავდე ჩემი ცეკვის ვიდეო. მას 2-3 საათში 300.000 ნახვა ჰქონდა და თითქმის ყოველ საათში 100.000 ნახვა ემატებოდა - ორ დღეში 4 მილიონს ასცდა, შოკირებული ვიყავი. შემდეგ ჩემი ცეკვის სხვა ვიდეო დავდე, მასაც მილიონობით ნახვები ჰქონდა, რამაც გამომწერი მომიმატა. ძალიან დიდი ოფიციალური გვერდები მწერდნენ და ნებართვას მთხოვდნენ, ჩემი ვიდეო დაედოთ თავიანთ გვერდზე, რა თქმა უნდა, მივეცი უფლება და იქ ნახვები 16 მილიონს ასცდა. თითქმის ყველა გვერდზე მილიონობით ნახვა დააგროვა და მსოფლიოს ყველა კუთხიდან ნახულობდნენ ჩემს ცეკვას. ეს შეამჩნია „გინესის“ ოფიციალურმა გვერდმაც და დამიკავშირდა მისი წარმომადგენელი. იმ პერიოდში მემატებოდა ბევრი გამომწერი, უამრავი შეტყობინება მომდიოდა და ყურადღებას ფიზიკურად ვერ ვაქცევდი ყველა შეტყობინებას. მათი წერილი ძალიან გვიან გავხსენი, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, მაგრამ ყალბი მეგონა და არ მქონია რეაქცია. ერთ დღესაც შემთხვევით თავიდან წავიკითხე შეტყობინება, ჯერ მეუცნაურა. ვერ ვიჯერებდი, მაგრამ მერე, რომ მივწერე და გავაგრძელეთ დიალოგი, მივხვდი - საქმე ძალიან სერიოზულად იყო. მათ ამირჩიეს, უნდოდათ „პირველი ქართველი მოცეკვავე ვყოფილიყავი ისტორიაში, რომელიც ქართული ილეთით დაამყარებდა გინესის მსოფლიო რეკორდს“. დავთანხმდი და დაახლოებით 3 თვე ვემზადებოდი ამ რეკორდისთვის.

**- რას გვეტყვით ამ უპრეცედენტო გამოსვლაზე, თქვენსა და წამყვანის ემოციებზე?**

- გასვლამდე ჩემს თავს ვუთხარი, ეს შენი დღეა, გიორგი, ამ დღით უნდა მიიღო დიდი სიამოვნება და... ასეც მოხდა. რეკორდის დასრულების დროსაც ვიღიმებოდი... ძალიან ემოციური იყო ჩემთვის ეს დღე. ჯერი სკოტიც აღფრთოვანდა. რეკორდის შემდეგ იძახდა, ეს ვინ არის - რეკორდსაც ამყარებს და ოჯახსაც ქმნისო. შოკირებული იყო. მოკლედ, ენით აღუწერელი ემოციები იყო.

**- ჩვენ ვნახეთ, რომ რეკორდი მოიხსნა ჰაერში წრეზე ბრუნვით და მუხლებზე დაშვებით. თქვენ იცოდით რამდენი წრე იყო რეკორდის მოსახსნელად საჭირო?**

- ვიცოდი - 30 წამის განმავლობაში უნდა გამეკეთებინა 40 „ტყუპი“, ანუ 40 ბრუნვა მინიმუმ, თუმცა მე შევასრულე 47, მაგრამ მსაჯებმა 3 მომაკლეს, ზუსტი ბრუნვა არ იყოო, ანუ დამიფიქსირდა 44 „ტყუპი“, თუმცა რეპეტიციის დროს 50 „ტყუპსაც“ ვაკეთებდი 30 წამში. იქ მომიწია ბეტონზე - რბოლების ტრასაზე გაკეთება და ეს იყო გაცილებით რთული, თუმცა ღმერთი დამეხმარა და ყველაფერი კარგად დასრულდა.

**- რას გვეტყვით თქვენს დასზე?**

- რეკორდის დღეს მითხრეს, რომ 5-კაციან ჯგუფს ქართული ტრადიციული ცეკვა უნდა შეესრულებინა ეროვნული სამოსით. დავუკავშირდი ნონა თედიაშვილს, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობდი. ახლახან მაროკოში ჰყავდა მოცეკვავეები წაყვანილი, საკმაოდ კარგი შედეგებით დაბრუნდნენ და ვიფიქრე, მისი მოცეკვავეებისთვის - „არასრულწლოვნები“ მიმეცა შანსი. ისეთი ასაკი აქვთ, ახლა სჭირდებათ მსგავსი გამოცდილება, რომ კარიერა აიწყონ. წავიყვანე მისი მოცეკვავეები, პაატა თედიაშვილის შეკერილი ფორმებით წარვსდექით მილანში, ყველაზე რეიტინგულ გადაცემაში. მადლობას ვუხდი ნონა თედიაშვილს გვერდში დგომისთვის.

**- როგორც ვიცი, გადაცემის რეჟისორებმა სცენაზე გასვლის წინ თქვენს გამოსვლაში ცვლილებები შეიტანეს, ეს თქვენთვის სირთულეს არ წარმოადგენდა?**

- დიახ, დაგეგმილი იყო, რომ ჯერ უნდა შემესრულებინა სარეკორდო ილეთი და შემდეგ მეცეკვა ჩემს გუნდთან ერთად. 2 საათით ადრე რეჟისორმა ყველაფერი შეცვალა, მას უნდოდა ჯერ მეცეკვა „ყაზბეგური“, შემდეგ ყოფილიყო რეკორდი და ფინალური ეტაპი. ამ ცვლილებამ ძალიან დამაბნია, რადგან რეკორდისთვის მჭირდებოდა 100% ენერგია, დაღლილზე გაცილებით რთული იქნებოდა, თუმცა ჩემმა უკვე მეუღლემ - მაიამ მითხრა: „გიორგი, სიყვარულო, შენ ძალიან ძლიერი ხარ და მიუხედავად ამ სირთულისა, მაინც დაამყარებ რეკორდს და წარუმატებლად სცენიდან არ გამოხვალ, აუცილებლად შეძლებ, მე შენი მჯერა!“. ძალიან გამაძლიერა მაიამ ამ სიტყვებით და არ მქონდა უფლება, მისი იმედები გამეცრუებინა.

**- სიურპრიზზე რას გვეტყვით? სცენაზე საყვარელ ქალს ხელი სთხოვეთ, რომელმაც იტალიელი მაყურებლის ემოციები გამოიწვია...**

- სიურპრიზზე ძალიან ვნერვიულობდი, სულ ვფიქრობდი, რეკორდი რომ ვერ შევასრულო, მერე ხელი როგორ ვთხოვო-მეთქი... ძალიან მაღელვებდა თავიდან ეს ფაქტი, მაგრამ გავძლიერდი და ნეგატიური ფიქრები მოვიშორე. ძალიან ემოციური გამოვიდა ყველაფერი, ყველაზე დაუვიწყარი დღე გახდა ჩემს ცხოვრებაში, ზღაპრის ლამაზი დასასრულით, თუმცა ჩემი აზრით, ეს მხოლოდ დასაწყისია. აუდიტორია ძალიან აღფრთოვანებული იყო, კულისებშიც, რეჟისორი და მათი წარმომადგენლებიც შოკირებულები იყვნენ, ზოგს ცრემლებიც მოსდიოდა, ძალიან კარგი დღე გამოვიდა... აქვე ვეტყვი იმ ახალ თაობას, ვისაც ბევრი ოცნება აქვს, არასდროს დანებდნენ, არასდროს! ბევრი იმუშაონ საკუთარ თავზე და ყველაფერს მიაღწევენ! ყოველთვის დგება ისეთი მომენტი, როცა თითქოს აღარ გსურს შრომის გაგრძელება, დათრგუნული ხარ, სასოწარკვეთილი, თუმცა ყველა დაღმართს აღმართი მოჰყვება და ეს გარდაუვალია.

## უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, უკრაინაში ომის წელს დასრულება ცივილიზებული სამყაროს საერთო ამოცანაა. მისი თქმით, ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საინფორმაციო მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს ყველამ, ვისაც ინფორმაციული გავლენა აქვს. „ეს ეხება არა მხოლოდ ჟურნალისტებს, ეს ეხება ყველას, ვისაც შეუძლია აგრესიის შესახებ სიმართლის გავრცელება, ვისაც შეუძლია შეახსენოს მსოფლიოს უკრაინელების შესახებ, იმის შესახებ, რომ უკრაინა იბრძვის თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის, ჩვენი ხალხისთვის და ყველა ერისთვის, რომელსაც რუსული ტირანია ემუქრება“, - განაცხადა ზელენსკიმ. მისი თქმით, მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ უკრაინის წინააღმდეგ აგრესია გრძელდება.

* * *

დონეცკის ოლქის ქალაქ ავდიივკიდან, სადაც აქტიური საომარი მოქმედებები გრძელდება, კომუნალური სამსახურების თანამშრომლების ევაკუაცია მოხდება, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. „სამწუხაროა ამის აღიარება, მაგრამ ავდიივკა უფრო და უფრო ემსგავსება ადგილს პოსტაპოკალიფსური ფილმებიდან. ამიტომ, მიღებულია რთული გადაწყვეტილება ავდიივკადან ჩვენი გმირების - კომუნალური სამსახურების თანამშრომლების ევაკუაციის შესახებ, რომლებიც როგორღაც მაინც ცდილობდნენ ქალაქის სისუფთავის და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას“, - განაცხადა ავდიივკის საქალაქო სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვიტალი ბარაბაშმა. მისი თქმით, ქალაქში მობილური კავშირი გაითიშება. ბარაბაშმა მოქალაქეებს ქალაქის დატოვებისკენ მოუწოდა.

* * *

ზაპოროჟიეს ოლქის ოკუპირებულ ქალაქ მელიტოპოლში აფეთქებების ხმა ისმოდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ქალაქის კანონიერ მერ ივან ფედოროვზე დაყრდნობით ავრცელებს. ფედოროვის ინფორმაციით, დაზიანდა შენობა, რომელშიც ოკუპანტების ძალოვანი სტრუქტურებია განთავსებული, საოკუპაციო ადმინისტრაციის ინფორმაციით კი, მელიტოპოლი უკრაინულმა ძალებმა არტილერიით დაბომბეს. „წინასწარი ინფორმაციით, დაშავდა ოთხი ადამიანი და დაზიანდა რამდენიმე შენობა“, - აცხადებენ ქალაქის საოკუპაციო ადმინისტრაციაში.

* * *

უკრაინის სახმელეთო ჯარების მეთაური ალექსანდრე სირსკის განცხადებით, უკრაინული ძალები ქალაქ ბახმუტზე რუსეთის მძიმე თავდასხმების მოგერიებას განაგრძობენ. „ბახმუტისთვის ბრძოლის ყველაზე ინტენსიური ეტაპი გრძელდება. მდგომარეობა მუდმივად რთულია. მტერი ადამიანური რესურსის, იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდის, მაგრამ აგრძელებს შეტევით მოქმედებებს“, - განაცხადა მან. სირსკის თქმით, „ბახმუტის დაცვა განპირობებულია სამხედრო აუცილებლობით“.

* * *

დონეცკის ოლქის ქალაქ სლავიანსკზე რუსული ძალების მიერ განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის შედეგად დაიღუპა ორი და დაშავდა 27 ადამიანი, - ინფორმაციას უკრაინული მედია დონეცკის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პაველ კირილენკოზე დაყრდნობით ავრცელებს. კირილენკოს თქმით, რუსებმა ქალაქის ცენტრს S300 ტიპის ორი რაკეტით დაარტყეს. შედეგად განადგურდა ადმინისტრაციული და საოფისე შენობები, 5 მაღალსართულიანი კორპუსი და 7 კერძო სახლი. დონეცკის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ რუსულმა ძალებმა სარაკეტო თავდასხმა ქალაქ დრუჟკოვკაზეც განახორციელეს. რაკეტები ბავშვთა სახლს მოხვდა და თითქმის მთლიანად გაანადგურა. არსებული მონაცემებით, ქალაქზე თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა.

* * *

ჩრდილოეთ მაკედონია უკრაინას 12 ერთეულ MI-24 საბრძოლო ვერტმფრენს გადასცემს. ინფორმაციას ქვეყნის თავდაცვის მინისტრი სლავიანკა პეტროვსკაია ავრცელებს. მისი თქმით, ჩრდილოეთ მაკედონიის გენერალურმა შტაბმა დაასრულა ანალიზი, შეძლებდა თუ არა ქვეყანა უკრაინისთვის საბრძოლო შეიარაღების გადაცემას, ოთხშაბათს კი MI-24 ვერტმფრენების გადაცემის გადაწყვეტილების შესაბამისი შეთავაზება ოფიციალურად გაკეთდება. თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ ამ შეიარაღების გადაცემა არ მოახდენს გავლენას ჩრდილოეთ მაკედონიის ბრძოლისუნარიანობაზე. „მთელი ის შეიარაღება, რაც გადაეცათ, გარდა იმ ფაქტისა, რომ ეს უკრაინელების მოთხოვნაა, მათ სჭირდებათ და უკრაინის ჯარი ეფექტურად იყენებს. ეს ის შეიარაღებაა, რომელიც ჩვენი გეგმების შესაბამისად გამოიყენება“, - განაცხადა პეტროვსკაიამ. მანამდე ჩრდილოეთ მაკედონიამ უკრაინას SU-25 მოიერიშე თვითმფრინავები და T-72 ტანკები გადასცა.

* * *

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ცნობით, ომის დაწყებიდან დღემდე, რუსეთმა უკრაინაში 171 160 ჯარისკაცი დაკარგა. გენშტაბის თქმით, უკრაინულმა მხარემ სხვადასხვა რუსული სამხედრო ტექნიკა გაანადგურა. ტანკი - 3595, ჯავშანტექნიკა - 6953, საარტილერიო სისტემა - 2638, ზალპური ცეცხლის სარაკეტო სისტემა - 523, საჰაერო თავდაცვის სისტემა - 277, თვითმფრინავი - 305, ვერტმფრენი - 291, ოპერატიულ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი - 2216, ფრთოსანი რაკეტა - 911, გემი/ნავი - 18, სატრანსპორტო საშუალება და საწვავის ავზი - 5493, სპეცტექნიკა - 285. რუსეთი უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვალს შეიჭრა. რუსულ სამხედრო ძალებს ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა. ლტოლვილად და იძულებით გადაადგილებულ პირად 10 მილიონზე მეტი ადამიანი იქცა.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

## სკოლიდან - კლინიკაში... ინტოქსიკაციის ნიშნებით

ბათუმის რესურსცენტრში, ჟურნალისტებთან საუბრისას, განაცხადეს, რომ ბათუმის №1 საჯარო სკოლის რამდენიმე მოსწავლე, პედაგოგი და მანდატური, რომლებსაც ინტოქსიკაციის ნიშნები აღენიშნებოდათ, კლინიკაში არიან გადაყვანილნი. არსებული ინფორმაციით, შემთხვევა მე-11 კლასში მოხდა: „ერთ-ერთმა ბავშვმა საკლასო ოთახში „სპრეი“ გაუშვა, რის გამოც რამდენიმე მოსწავლე, მასწავლებელი და მანდატური კლინიკაში პრევენციის მიზნით გადაიყვანეს“, - განაცხადა ბათუმის რესურსცენტრის დირექტორმა გოჩა დავითაძემ. მან ასევე განმარტა, რომ მოსწავლეებს ყოველდღიურად არ ამოწმებენ, ჩხრეკა იმ შემთხვევაში ტარდება, თუ რაიმე ეჭვის საფუძველი არსებობს.

**ამირან გურიელიძე**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 24/03/23, 20 55 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# ნორვეგიასთან რთული შეხვედრა გველის

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***ბათუმი ეს დღეები დიდი ფეხბურთით ცხოვრობს - საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩვენს ქალაქში იმყოფება, რომელიც 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი ტურის ოფიციალურ შეხვედრას დღეს გამართავს***

შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩამდე საქართველოს ნაკრებმა 25 მარტს ამხანაგური შეხვედრა მონღოლეთის ნაკრებთან ჩაატარა და დიდი სხვაობით - 6:1 დაამარცხა. ანგარიში პირველ ტაიმში დავით ვოლკოვმა გახსნა, თუმც მეტოქემ

საპასუხო გოლის გატანა შეძლო.

მეორე ტაიმით გულშემატკივარმა ნამდვილად ისიამოვნა, რადგან ჩვენმა ბიჭებმა კიდევ ხუთი გოლი გაუტანეს მეტოქეს. უნდა გამოვყოთ ჩაკვეტაძე, რომელმაც ორ წუთში ზედიზედ ორი გოლი გაიტანა (თუმცა მანამდე პენალტი გაუცუდდა). ამას ლობჟანიძის, ბერიძისა და ზივზივაძის გატანილი გოლებიც დაემატა.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლიმ მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, ძირითადად, კმაყოფილება გამოთქვა გუნდის თამაშის გამო, რაც ანგარიშზეც აისახა. მან განაცხადა, რომ მონღოლებთან სპეციალურად ბევრი ახალგაზრდა ათამაშა, რითაც ყველას მისცა შანსი. გუნდში გვყავდა დებიუტანტებიც - საზონოვი, გაგნიძე... სანიოლის თქმით, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე საუბარი ძნელია, რადგან გუნდში გამოჩნდნენ ფეხბურთელები, რომლებიც ერთად იშვიათად თამაშობენ. ამის გამოც ნაკრებს (უფრო - პირველ ტაიმში) გუნდურობა აკლდა, თუმცა „შესვენების შემდეგ სიტუაცია გამოსწორდა, გავიტანეთ რამდენიმე გოლი, შევქმენით უამრავი მომენტი და, პირველი მატჩის კვალობაზე, ვფიქრობ, ნორმალურად ვითამაშეთ. შესვენებაზე გიორგი ჩაკვეტაძეს ვუთხარი, რომ მოედნის ცენტრთან უფრო ახლოს ემოქმედა, რადგანაც მისნაირი კრეატიული მოთამაშეები სწორედ იქ გვჭირდება. ლორიამ ტრავმა მიიღო, მისმა შემცვლელმა გუგეშაშვილმა კარგად ითამაშა“, - აღნიშნა ვილი სანიოლიმ.

ეს იყო ამ სეზონში ნაკრების პირველი თამაში. დებიუტანტებს შორის გამოჩნდა 17 წლის სიგუა, ვინც პირველად ჩაიცვა ნაკრების მაისური. მან ჟურნალისტებთან მცირე კომენტარში აღნიშნა, რომ ეს ნაკრებში მისი პირველი ნაბიჯია და საქართველოს გამარჯვებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

დღეს ნაკრებს ბევრად რთული თამაში ელის და მეტი შრომა მოუწევს სასურველი შედეგის მისაღწევად. რა თქმა უნდა, ყველას ყურადღება დღევანდელი მატჩისკენაა მიმართული. ვიმედოვნებთ, წარმატებული სტარტი გვექნება. მონღოლებთან მატჩზე სტადიონი არ იყო მაყურებლით სავსე, დღეს, რა თქმა უნდა, გაივსება, რადგან ყველა ბილეთი გაყიდულია და, ამასთან, გულშემატკივარი სტადიონზე, სხვა წამყვან ფეხბურთელებთან ერთად, ხვიჩა კვარაცხელიასაც იხილავს.

წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს გუნდს!

# ბათუმი ევროპის ჩემპიონატის თასს ზეიმით შეეგება და საქართველოში სამოგზაურო გაუცილა

**პირველი გვერდიდან**

- გილოცავთ, გულშემატკივრებო, ამ დიდ დღესასწაულს. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძლები ვართ. მადლობა საქართველოს მთავრობას, აჭარის მთავრობას, ქალაქის მერიას, ბატონ არჩილს, რომლებმაც ამ ტურნირის ორგანიზებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს. რომ არა მათი ძალისხმევა, ამ ტურნირს ვერ ვუმასპინძლებდით. დარწმუნებული ვარ, საქართველო, რუმინეთთან ერთად, დასამახსოვრებელ ღონისძიებას უმასპინძლებს. მადლობა აჭარის ტელევიზიას პირდაპირი ეთერისთვის. 28 მარტს დატვირთული დღე გვაქვს, წლის პირველი ოფიციალური შეხვედრა იმართება ბათუმში, 21 ივნისს კი სტარტს აიღებს ევროპის ჩემპიონატი, რომელიც 8 ივლისს ფინალით დაგვირგვინდება ბათუმში. მადლობა და გილოცავთ ამ მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძლობას.

- საქართველო, ბათუმი ნამდვილად არის სპორტის გულშემატკივარი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ღირსეული ტრადიციები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ფეხბურთის მიმართულებით აქვს, გრძელდება. წარმატება მინდა ვუსურვო ჩვენს ნაკრებს, სპორტის სფეროში მოღვაწე თითოეულ ადამიანს. ნამდვილად ვართ მზად, რომ ამ ჩემპიონატს ვუმასპინძლოთ მაღალ დონეზე, - გვითხრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

ღონისძიებას ევროპის მოედანზე მანიკა ასათიანი და ბერდია კუტუბიძე უძღვებოდნენ. ევროპის მოედანზე შეკრებილმა ასობით ადამიანმა საკუთარი თვალით ნახა თასი, რომელმაც მოგზაურობა ბათუმიდან დაიწყო და ეს სიმბოლურია, რადგან, როგორც ამბობენ, დიდი ფეხბურთი საქართველოში სწორედ ზღვიდან შემოვიდა, ინგლისელი ფეხბურთელების წყალობით (გახსოვთ, ალბათ, შესანიშნავი ქართული ფილმი „პირველი მერცხალი“). მას შემდეგ ფეხბურთი ქართველებისთვისაც სპორტის საყვარელი სახეობაა. არაერთი გამარჯვებაც უზეიმია ქართულ ფეხბურთს და მის გულშემატკივარს. ჩვენ გვყავდა და დღესაც გვყავს მაღალი დონის ფეხბურთელები, თუმცა ის დიდი ღონისძიება, რომელსაც საქართველო ზაფხულში უმასპინძლებს, ქვეყნისთვის უპრეცედენტოა.

როგორც წამყვანებმა აღნიშნეს, ტურნირის ადგილობრივი სპონსორის - „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ჯადოსნური ქარავნის მეშვეობით, თასი ბათუმიდან მთელ საქართველოში იმოგზაურებს, გულშემატკივრებს მასთან სურათის გადაღების შესაძლებლობაც მიეცათ. წამყვანებმა მადლობა გადაუხადეს კომპანიებს, რომელთა თანადგომა აღნიშნული ტურნირის მაღალ დონეზე მასპინძლობისთვის უმნიშვნელოვანესია: „საქართველოს ბანკს“, ადგილობრივ სპორტსმენებს, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“, „მაკდონალდსს“, „მთის წყალს“, განსაკუთრებით კი აჭარის მთავრობას, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მხარდაჭერისთვის. ხაზი გაუსვეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გაწეულ უდიდეს შრომას.

**აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი თორთლაძე:**

- ეს, რა თქმა უნდა, დიდი სტიმულია იმისთვის, რომ ჩვენს რეგიონში ფეხბურთი განვითარდეს, აღსაზრდელები მეტად დაინტერესდნენ სპორტის ამ სახეობით.

ევროპის მოედანზე წარმოდგენილ გასართობ პროგრამაში სხვადასხვა ანსამბლი, ინდივიდუალური შემსრულებლები და ბენდები მონაწილეობდნენ.

21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის თასმა მოგზაურობა უკვე დაიწყო. ჩემპიონატის მიმდინარეობისას ბათუმში გულშემატკივარს შესაძლებლობა მიეცემა, უყუროს ისრაელის, გერმანიის, ჩეხეთისა და ინგლისის ნაკრები გუნდების თამაშს. ბილეთების გაყიდვა დაწყებულია. დაესწარით მატჩებს და ისიამოვნეთ.